

კურეალი ვაქსტრაქტივისტები ზონაში

ბოლონისის მოპოვებითი საქმიანობების გენდერული განზომილება და
სოციალური გავლენები საქართველოს აზერბაიჯანელებზე

სახოა კობარავა



სარჩევი

შესავალი	3
ძირითადი მიგნებები	5
1. მეთოდოლოგია	8
1.1. თეორიული ჩარჩო: ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგია	8
1.2. ექსტრაქტივიზმი	8
1.3. ექსტრაქტივიზმის გენდერული კრიტიკა	9
1.4. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	10
2. ბოლნისის სოფლის მეურნეობა და საქართველოს აზერბაიჯანული თემი	13
2.1. საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალები	14
3. ექსტრაქტივისტული საქმიანობები ბოლნისში	16
3.1. წიაღისეულის მოპოვება	17
3.1.1. წიაღისეულის მოპოვებით მდინარეების დაბინძურების ეკოლოგიური გავლენები ბოლნისის აზერბაიჯანული თემის სოფლებში	17
3.1.2. წიაღისეულის მოპოვებით მდინარეების დაბინძურების გავლენები ბოლნისის აზერბაიჯანული თემის ქალებზე	19
3.3. სარწყავი წყალი	21
3.3.1. სარწყავი წყლის არათანაბარი გადანაწილების მოპოვებითი ხასიათი ბოლნისის აზერბაიჯანულ თემში	21
3.3.2. სარწყავი წყლის არათანაბარი გადანაწილების გენდერულ განზომილება ბოლნისის აზერბაიჯანულ თემში	23
3.4. ქვიშა-ხრეშის მოპოვება	25
3.4.1. ქვიშა-ხრეშის მოპოვების ეკოლოგიური, სოციალური და გენდერული გავლენები ქვემო და ზემო არქევანის კონტექსტში	25
რეკომენდაციები	28
ბიბლიოგრაფია	30

კვლევის ავტორი: სალომე კობალავა

გარეკანის დიზაინი: თათია ნადარეიშვილი

კვლევა მოშზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერით

შესავალი

ექსტრაქტივიზმი წიაღისეულის თუ სხვა სახის ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური დაგროვების მიზნით ფართომასშტაბიანი მოპოვების პროცესია, რომელიც ბუნებრივი სისტემების თვითაღდების უნარს სცდება და ხასიათდება მძიმე სოციალური თუ გარემოს დამაზიანებელი გავლენებით (Acosta, 2013; Gudynas, 2013). მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიული მოპოვების ისტორია საქართველოში საუკუნეზე მეტს ითვლის და ბოლო წლებში ამ სექტორთან დაკავშირებული არაერთი სოციალური პროტესტიც აღმოცენებულა (ქებურია & ჭუბაძრია, 2017), ექსტრაქტივიზმი საქართველოში კვლევის შედარებით ახალი საგანია. წიაღისეულს, კონკრეტულად კი სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, საქართველოს საექსპორტო ჩამონათვალში წამყვანი ადგილი უჭირავს (საქსტატი, 2022), თუმცა, ზოგადად, მოპოვებითი სექტორის წილი ქვეყნის საერთო ეკონომიკასა და დასაქმებაში არც ისე დიდია (ჩივაძე, 2020). ამ ფონზე, უშუალოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვების ზონებში, ადგილობრივი მოსახლეობა და ეკოსისტემები ექსტრაქტივისტული საქმიანობების თანმდევ მაღალ ეკოლოგიურ თუ სოციალურ ფასს იხდიან (აროშვილი, 2020; ურჩუხიშვილი, 2021; ცინცაძე, 2020).

ბოლო პერიოდში განხორციელებული სისტემური კვლევები ჭიათურის, ზესტაფონისა და კაზრეთის მონიონდუსტრიული ქალაქების მაგალითზე, შეისწავლის ექსტრაქტივიზმის ადგილობრივი გამოვლინებების შრომითი, ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და გენდერული განზომილებების თანაკვეთას (EMC, 2020; ურჩუხიშვილი, 2021). კვლევები, რომლებიც საქართველოში ექსტრაქტივიზმის გავლენებს გენდერულ ჭრილში შეისწავლიან, გვიყვებიან ქალთა შრომით მიგრაციასა და ეკონომიკური მონაწილეობის შესაძლებლობების ნაკლებობაზე (აროშვილი, 2020; ურჩუხიშვილი, 2021), რაც უკავშირდება ექსტრაქციული ინდუსტრიის ქალაქებში სახიფათო სამუშაო პირობებს მიღმა დასაქმების ალტერნატივების არარსებობას. მაგრამ ცოტა რამ ვიცით სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების თემის ქალებზე, რომლებიც საარსებო საშუალების საძიებლად ემიგრაციას და ექსტრაქტივისტული ზონებიდან გასვლას ვერ ახერხებენ, შესაბამისად, ცხოვრება მოპოვებითი საქმიანობების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ უხდებათ.

საქართველოში სოფლად მცხოვრები ქალები მრავალშრიან დისკრიმინაციას განიცდიან და არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან, იქნება ეს ეკონომიკურ, ჯანდაცვის, იურიდიულ და სოციალურ ან, თუნდაც, ფსიქოლოგიურ სერვისებზე წვდომის ნაკლებობა თუ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის შესაძლებლობების სიმწირე. ამას ემატება სოფლის მეურნეობაში ქალებისთვის ფინანსური და მიწის რესურსების გენდერულად არათანაბარი ხელმისაწვდომობა (გოლემაკ პაუელი და სხვ., 2020), რაც განსაკუთრებულად არასაარბიელოდ სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების თემის ქალებზე აისახება, რომლებიც ენობრივი ბარიერის პირობებში, სოფლის მეურნეობაში ქალებისთვის არსებული მცირერიცხოვანი მხარდაჭერის პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებსაც არიან მოკლებულნი (მამედლი, 2022). სოფლად ქალთა მდგომარეობის გასააზრებლად, მხედველობაშია მისაღები გენდერული ნიშნით სოფლის მეურნეობაში შრომის გადანაწილების ქვეყანაში არსებული ზოგადი სურათიც, რომელიც აჩვენებს, რომ საქართველოს რეგიონებში, გარდა რაჭა-ლეჩებულების და ქვემო სვანეთისა, ქალების სოფლის მეურნეობაში დასაქმების წილი, მათ შორის არაფორმალურად, კაცებთან შედარებით უფრო დიდია. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ქვემო ქართლის რეგიონი გამოირჩევა (2019-ში

60%) (გოლემაკ პაუელი და სხვ., 2020), სადაც მოსახლეობის 42% ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფით, საქართველოს აზერბაიჯანელებითაა დასახლებული¹.

სოფლად მცხოვრები ქალებისა და განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის არსებული ამ უთანასწორობების გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევა შეისწავლის ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის, საქართველოს აზერბაიჯანული თემის (ქვეყნის მოსახლეობის 6%) (საქსტატი, 2016) ქალების გამოცდილებებს ქვემო ქართლის რეგიონის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების მაგალითზე, სადაც არაერთი ექსტრაქტივისტული საქმიანობა და სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი რესურსის კომერციული მოპოვება მიმდინარეობს. მხედველობაში თუ მივიღებთ იმასაც, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შემოსავლის მთავარი წყარო სოფლის მეურნეობაა (დარსაველიძე და სხვ., 2018), ნათელი ხდება, თუ რამდენადაა დამოკიდებული როგორც ბოლნისის, ისე საქართველოს აზერბაიჯანული თემის განგრძობადობა და სოციალური კვლავწარმოება ეკოლოგიურ უსაფრთხოებასა და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობაზე, რასაც უკონტროლო მოპოვებითი საქმიანობები საფრთხეს უქმნიან.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევა ექსტრაქტივიზმს ბოლნისში მიმდინარე სხვადასხვა ტიპის მოპოვებითი საქმიანობის კონტექსტში აანალიზებს და ცნების ფართო გაგებას ეყრდნობა (Acosta, 2017). უფრო კონკრეტულად, ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგიის პერსპექტივის გამოყენებით, კვლევა შეისწავლის ექსტრაქტივისტული საქმიანობების გავლენებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები აზერბაიჯანული თემის ქალებზე და გამოკვეთს კავშირებს მათ შრომას, გამოცდილებებს, ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ცვლილებებსა და რესურსების ხელმისაწვდომობას შორის.

1. CSEM.ge. (2016). Ethnic Groups of Georgia, http://csem.ge/wp-content/uploads/2016/07/ethnic_groups_of_georgia.jpg

პირითაღი მიზნებები

გამომდინარე საკვლევი საკითხიდან და თემის წინაშე მდგარი სოციო-ეკონომიკური თუ პოლიტიკური გამოწვევებიდან, წინამდებარე კვლევა გვერდს ვერ უვლის ბოლნისში მცხოვრები საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალების მოწყვლადობაზე საუბარს და, ამავდროულად, ხას უსვამს მათი შრომის კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობასა და თემის სოციალურ კვლავწარმოებაში. ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგიის კვალდაკვალ, კვლევა გამოკვეთს ურთერთმიმართებებს ბოლნისის ეკოლოგიური სისტემის ექსპლუატაციას, საერთო პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ კონტექსტსა და თემის ქალების ყოფას შორის, რითაც აჩვენებს, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა ტიპის მოპოვებითი საქმიანობების არეალში მცხოვრებ საქართველოს აზერბაიჯანულ თემში, ექსტრაქტივიზმის გავლენები არაერთგვაროვანია და, ამასთან, სტრუქტურულ თუ გენდერულ უთანასწორობებს აძლიერებს. კვლევა მიუთითებს გამოწვევებზე, რომლებსაც სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული ბარიერების პირობებსა და ეკოლოგიური სისტემის რღვევის პროცესებში, თემის ქალები გაორმაგებულად იწვნევენ. მათ შორის, არაფორმალური აგრარული შრომის და სიღარიბის ფემინიზაციის, დროითი სიღარიბის და, შესაბამისად, საჯარო თუ პოლიტიკური აგენტობის კიდევ უფრო შეზღუდვის, „ქიმიური ტვირთის“ დაკისრების საფრთხის, საშინაო სფეროზე მიჯაჭვულობის, ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე მომეტებული რისკების, ორმაგი შრომის, და საყოფაცხოვრებო დანიშნულების თუ სარწყავი წყლის მიუწვდომლობის სახით.

წყალი, როგორც მაცოცხლებელი სუბსტანცია და თემის საყოფაცხოვრებო თუ აგრარული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი, ბოლნისში მიმდინარე სხვადასხვა ტიპის ექსტრაქტივისტული საქმიანობის სოციალური, გენდერული და ეკოლოგიური ზეგავლენის კონტექსტში უმთავრეს ელემენტად გვევლინება და სწორედ მის გარშემო იყრის თავს კვლევაში განხილულ გამოწვევათა უმრავლესობა. მასში ნაჩვენებია, რომ კომპანია „არემჯის“ (Rich Metals Group) საწარმოო ნარჩენებით მდინარის წყლის პერიოდული დაბინძურების ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი პრობლემა, ასევე მდინარის კალაპოტიდან ინერტული მასალების ამოღება და ექსტრაქტივისტული ლინზიდან გააზრებული სარწყავი წყლის მითვისების პრაქტიკები, გენდერულად ნეიტრალური პროცესები არაა და ისევე ზემოქმედებენ მონახულებულ სოფლებში მცხოვრები თემის ქალების ყოველდღიურ გამოცდილებებზე, როგორც მათ სოციალურ თუ პოლიტიკურ შესაძლებლობებზე.

მოპოვებით საქმიანობებთან მიმართებით, წინამდებარე კვლევა კონცენტრირდება რამდენიმე ძირითად მიგნებასა და მათ გენდერულ მახასიათებლებზე:

- ბოლნისის მუნიციპალიტეტში მონახულებული ექვსი სოფლიდან ხუთში, სადაც მდინარე მაშავერა, ბოლნისისწყალი (მდ. ფოლადაური) და ხრამი ჩამოედინება, ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარის პერიოდულ დაბინძურებაზე მიუთითებენ და ამას დაბა კაზრეთში ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი საწარმოს, „არემჯის“ საქმიანობას უკავშირებენ. ბოლნისის მდინარეების ჰიდროელექტროსა და განვითარების აღგილობრივი შინამეურნეობების დასუსტება და ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის დამაზიანებელი ზეგავლენა ემთხვევა. მაგალითად, რესპონდენტები მიუთითებენ ზოგადად, ადგილობრივ მოსახლეობაში და კონკრეტულად, ქალებში სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, სიმსივნური დაავადებების მატებაზე, ხოლო ბავშვებში დაბინძურებულ მდინარის წყალთან კონტაქტისას კანის ალერგიული რეაქციების შემთხვევებზე.

- ბოლნისში წიაღისეულის მოპოვების შედეგად, ეკოლოგიური დაბინძურების პი-რობებში, რეპროდუქციული ასაკის თემის ქალებისთვის ქიმიური ტვირთის რისკი წარმოშობა. ქიმიური ტვირთი მოიაზრებს ეკოლოგიურად მყიფე გარემოსა და ზრუნვის გენდერულად უთანასწორო ორგანიზების პირობებში, ახალშობილთა ან ნაყოფის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობის დედებზე გადატანას, მაშინ როცა საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოება და მონიტორინგი სახელმწიფო აქტორებს, თვითმმართველობას და წიაღისეულის მომპოვებელს ევალებათ. ხოლო, ქალთა რეპროდუქციული კუთხით მოწყვლადობა, რომელიც ეკოლოგიური გარემოს და-ბინძურებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების კონკრეტული კონფიგურაციის და ბუნებრივი რესურსების მოპოვების უკონტროლო პროცესის შედეგია.
- კვლევის ფარგლებში მონაცულებულ სოფლებში სარწყავი წყალი არათანაბრად ნა-წილდება, რის ერთ-ერთ მიზეზადაც რესპონდენტები სარწყავი წყლის მითვისების არაფორმალურ პრაქტიკას ასახელებენ. თემში საოჯახო სასოფლო მეურნეობების კოლაფსი თანხვედრაშია სარწყავი წყლის დეფიციტსა და ბოლნისში მცხოვრებ სა-ქართველოს აზერბაიჯანულ თემში აგრარული სამუშაო ძალის ფემინიზაციასთან, რაც დისპროპორციულად ზრდის ქალების არაფორმალური შრომის ტვირთს და, ამავდროულად, საშინაო სფეროზე მიჯაჭვულობას, რაც აბრკოლებს მათ სამოქალაქო, საჯარო და პოლიტიკურ მონაწილეობას.
- მდინარე ხრამთან მდებარე ორი სოფლის, ქვემო და ზემო არქევანის ჭალებში ქვი-შა-ხრეშის მოპოვებასთან იკვეთება სოფლებში სასმელად გამოყენებული მიწის-ქვეშა წყლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის რისკიც, რაც თემის ქალებისთვის შინ შრომის, დროითი სიღარიბის ზრდისა და მენტალური ტვირთის დამძიმების პერ-სპექტივას აჩენს. საბოლოოდ ამას მიყვავართ თემში სიღარიბის ფემინიზაციასთან, ადგილობრივი ქალებისთვის კი საჯარო თუ პოლიტიკური მონაწილეობის ისედაც შეზღუდული შესაძლებლობების შემცირებასთან.

ნათელია, რომ ბოლნისში, ექსტრაქტივისტული საქმიანობების არეალში მცხოვრები საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალები და მთლიანად თემი, როგორც სახელმწიფოსგან, ისე ადგილობრივი თვითმმართველობისგან საჭიროებენ თანასწორობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის პოლიტიკაზე დაფუძნებულ სათანადო ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას, რომელთა სისუსტე ან არარსებობაც ამჟამად მათ ცხოვრებაზე მძიმედ აისახება. ეკოლოგიურ მდგომარეობასა და ბუნებრივ რესურსებზე წვდომასთან პირდაპირ დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები, რომლებიც ბოლნისში მცხოვრები საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალების ყოფას ამძიმებენ, მათ ფუნდამენტურ უფლებებს ზღუდავენ და ახალი გამოწვევების მაღალ რისკს ქმნიან, ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგიის პერსპექტივიდან, სახელმწიფოს მხრიდან სისტემურ ხედვას, ეფექტიან ინტერვენციასა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარებას მოითხოვენ.

უნდა ითქვას, რომ ფრაგმენტული ტექნიკური ზომების გატარება, რისი მაგალითიც სახეზეა, თუნდაც, ფერადი ლითონების მომპოვებელი კომპანია „არემჯის“ შემთხვევაში, კარგად ავლენს მხოლოდ ტექნოლოგიურ გადაწყვეტაზე დაფუძნებული და მომპოვებელი აქტორებისთვის მინდობილი მიდგომების სიმყიფეს. ბოლნისში ან მის მიღმა, ეკოსისტე-მების და ადგილობრივი მოსახლეობის უკონტროლო მოპოვებითი საქმიანობების მავნე ზეგავლენებისგან დასაცავად, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი მექანიზმების დანერგვა და საჯარო პოლიტიკაში ისეთი სტრატეგიული ხედვის შეტანა, რომელსაც ექ-

სტრაქტივისტული მსოფლმხედველობა კი არ ასაზრდოებს, არამედ ცნობს ეკოლოგიის, ეკონომიკისა და სოციალური სფეროების ურთიერთდამოკიდებულებას. საჭიროა სტრატეგია და ხედვა, რომელიც ასევე, ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების განკარგვას ამ რესურსებსა და ეკოსისტემებზე დამოკიდებული მოსახლეობის სასიცოცხლო სივრცის გაუნადგურებლად და ფუნდამენტური უფლებების შეუზღუდავად. ნათელია ისიც, რომ ბოლნისის დიდწილად აგრარული ეკონომიკის განვითარება და პროდუქტიულობის ზრდა, რაც მუნიციპალიტეტისთვის დეკლარირებული პრიორიტეტია (დარსაველიძე და სხვ., 2018), ადგილობრივი ეკოსისტემების მოუფრთხილებლად და შეუნარჩუნებლად ვერ მიიღწევა, ისევე, როგორც ვერ გაძლიერდება ადგილობრივი აგრარული სექტორი, კერძოდ, მისი მნიშვნელოვანი სამუშაო ძალის, საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალების საჭიროებებსა და უფლებებზე მორგებული გენდერულად მგრძნობიარე პროგრამების გარეშე.

1. მეთოდოლოგია

11. თეორიული ჩარჩო: ფემინისტური კოლეციური ეპოლოგია

კვლევა ეფუძნება ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგიის თეორიულ პერსპექტივას. ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგია აერთიანებს ფემინიზმსა და გარემოსდაცვით მი-დგომებს და შეისწავლის ყოველდღიურ პრაქტიკებს, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით (Van den Berg, 2017; Wember, 2018). ინტერსექციულობის კრიტიკული პრიზ-მის გამოყენებით, იგი ჩაგვრის სხვადასხვა ვექტორის მოხელთების შესაძლებლობას აჩვენს, ვინაიდან ადამიანთა ბუნებრივ რესურსებზე წვდომას და ამ რესურსების კონტროლს განიხილავს გენდერის, კლასის, ეთნიკურობის, რასისა და ძალაუფლების სხვა ღერძებთან მიმართებით (Sundberg, 2016).

ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგიის კრიტიკული მიდგომა ქალებისა და ბუნების ექსპლუატაციას შორის კავშირებით ინტერესდება. ბუნებრივი გარემოს ცვლილებების გაგებას ის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთმიმართების გააზრებით ცდილობს, რითაც შესაძლებელს ხდის, გავიგოთ, თუ როგორ ზემოქმედებენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკები ეკოლოგიაზე, გარემოსდაცვითი რეგულაციების ფორმირებასა და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობაზე (Dombroski et al., 2018). ეკონომიკური ანალიზის ნაწილში, ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგიის პერსპექტივა კონცენტრირდება ზრუნვაზე, საშინაო სფეროსა და ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე, როგორც ეკონომიკური ღირებულებების მწარმოებელ პრაქტიკებსა და კატეგორიებზე (Richardson-Ngwenya & Nightingale 2018). ამ თეორიული პრიზმიდან დანახული ექსტრაქტივიზმი გადაჯაჭვულია როგორც ყოველდღიურობასთან, ისე გლობალურ სისტემებთან და ის ადამიანური რესურსების, ბუნებისა და სიცოცხლის სხვადასხვა ფორმის ამთვისებელ, ძალაუფლების მაკონსოლიდირებელ და, შესაბამისად, არსებული უთანასწორობების გამაღრმავებელ ლოგიკად გვევლინება (Ekowati et al., 2023). თუ ამ კვლევის სამიზნე ჯგუფსა და პრობლემას მივუსადაგებთ, ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგიის თეორიული პერსპექტივა გვეხმარება, გავიგოთ, რას ნიშნავს ცხოვრობდე გარემოსდაცვითი კრიზისების პირობებში, როგორც ქალი და როგორც მარგინალიზებულ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანი. მეტიც, ამ თეორიული მიდგომის ინტერსექციულობა და ფემინისტური მგრძნობელობა არა მარტო ხილულს ხდის ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული პროცესების სოციალურად განსხვავებულ გამოვლინებებს, არამედ სოციალური ცვლილებების შესაძლებლობებსაც ქმნის. ის ერთმანეთთან აკავშირებს გლობალურ და ადგილობრივ პოლიტიკას, პრაქტიკებსა და პროცესებს, რითაც გამოკვეთს იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ ბუნებრივი გარემოს მდგრადობას და სოციალური სამართლიანობის მიღწევას (Rocheleau et al., 2013).

12. ექსტრაქტივიზმი

ლიტერატურაში ზოგადი განმარტებით, ექსტრაქტივიზმი განვითარების მოდელია, რომელიც ეფუძნება ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეულის ფართომასშტაბიან ათვისებასა და ექსპორტს. ექსტრაქტივიზმის, როგორც ეკონომიკური დაგროვების აღზევება უკავშირდება გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შედეგად, 2000-2013 წლებში, მსოფლიო ბაზარზე, მათ შორის, ჩინეთში, ინდოეთსა და განსაკუთრებით, გლობალურ ჩრდილოეთში ნედლეულზე მოთხოვნის ზრდას, რამაც სამთო მოპოვებასა და აგროინდუსტრიულ წარმოებაზე ფინანსური ბაზრების თუ გლობალური ფინანსური აქტორების

გავლენა გაზარდა და ეს ინდუსტრიები განსაკუთრებით მომგებიან საინვესტიციო საშუალებად აქცია (Dietz & Engels, 2017, გვ. 2; Torres et al., 2022).

რესურსების მზარდ ექსპლუატაციაზე დამოკიდებულ ექსტრაქტივიზმს, პირველ რიგში, ბიოფიზიკურ სივრცეში ტერიტორიული ექსპანსია ახასიათებს, რასაც მოპოვებითი საქმიანობების არეალში თან სდევს უთანასწორობის გამაღრმავებელი ცვლილებები სოციალურ და შრომით ურთიერთობებში (Dietz & Engels, 2017). ეს მრავალშრიანი პროცესი იწვევს მიწისა და ბუნებრივ რესურსებზე წვდომასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციების ცვლილებას, რაც გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობებზე (Dietz & Engels, 2017; Acosta, 2017). როგორც ლათინური ამერიკის მაგალითი აჩვენებს, ექსტრაქტივისტულ პროცესებთან ასოცირდება ჩამორთმევა (dispossession), ადგილობრივი თემების გაღარიბება, მათთვის წვდომის შეზღუდვა ბუნებრივ რესურსებზე, დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტება, კორუფციის ზრდა და ბუნებრივი გარემოს დაზიანება (Acosta, 2013; Temper et al., 2015). ჩამორთმევის ამ პროცესებს, თან სდევს კონფლიქტები რესურსებზე (Wolff, 2017) და დემოკრატიული მონაწილეობის პრაქტიკების ეროვნია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო ფინანსურად უფრო მეტადაა დამოკიდებული საერთაშორისო კაპიტალზე, ვიდრე შიდა ეკონომიკასა და წარმოებაზე (Peters, 2017). ამდენად, ექსტრაქტივიზმი და ექსტრაქტივისტული ინდუსტრია ერთმანეთთან აკავშირებს ადგილებს, ადამიანებს, ეკოსისტემებს, სხვადასხვა მასშტაბის თუ ტიპის აქტორებსა და ბაზრებს. თუმცა ამ კონფიგურაციაში ბუნებრივი რესურსები ერთი არეალიდან მეორეში მიედინება, უმეტესად, გლობალურ სამხრეთში მდებარე ექსტრაქტივის სივრცეებიდან გლობალური ეკონომიკის ჩრდილოეთის ცენტრებისკენ, რომლებიც, ამასთანავე, მოხმარების საკვანძო კერებად გვევლინებიან (Dietz & Engels, 2017; Acosta, 2017).

ექსტრაქტივიზმის მკვეთრად გამოხატულ მატერიალურ ზეგავლენებთან ერთად, მის არამატერიალურ, განზომილებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ წესრიგს, მსოფლმხედველობას, დისკურსსა და იდეებს ეფუძნება (Dietz & Engels, 2017). ამ იდეოლოგიურ ჩარჩოში მოქცეული წარმოდგენები ექვემდებარება ლოგიკას, რომელიც ბუნებას, პირველ რიგში, ეკონომიკურ რესურსად და ყიდვა-გაყიდვის საგნად მიიჩნევს (Szeman & Wenzel, 2021), რაც გარდაქმნის არა მარტო მატერიალურ და ბიოფიზიკურ გარემოს, არამედ სოციალურ ურთიერთობებსაც. მინერალების, საწვავისა და სხვა სახის წიაღისეულის მოპოვების გარდა, ექსტრაქტივიზმი მოიცავს ისეთ საქმიანობებსაც, როგორებიცაა ფართომასშტაბიანი მონოკულტურული პლანტაციების კულტივაცია და ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა, ხე-ტყის მოპოვება, ინდუსტრიული თევზჭერა და ტურიზმი (Bisht, 2021; D'Angelo & Pijpers, 2021; Acosta, 2017). ამის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევაში ექსტრაქტივიზმის ცნება გამოიყენება ფართო მნიშვნელობით და არ შემოიფარგლება საკითხის განხილვით მხოლოდ ერთი ტიპის მოპოვებით საქმიანობასთან მიმართებით.

13. ექსტრაქტივიზმის გენორული პრიტიკა

ექსტრაქტივიზმი და მისგან გამომდინარე ეკოლოგიური თუ სოციალური რისკი და სარგებელი, ისევე, როგორც მათი გადანაწილება, უთანასწორობის სხვადასხვა სტრუქტურა-სთან იკვეთება. ის გენდერულად ნეიტრალური პროცესი არაა და აქვს როგორც ეთნიკური, ისე რასობრივი და კლასობრივი განზომილებები (Leguizamon, 2020; Pereira, 2021). მავნე ეკოლოგიური ზეგავლენები, როგორიცაა წყლის, ნიადაგისა და ჰაერის დაბინძურება, ლანდშაფტის ცვლილება, სახნავ-სათესი და საძოვარი მიწების თუ ტყეების ჩამორთმევა, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი და სოციალური ქსოვილის რღვევა,


ყველაზე მძიმე წნეხის ქვეშ ექსტრაქტივისტული საქმიანობების არეალში მცხოვრებ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი, მის დაუცველ წევრებს და ქალებს აქცევს. მეტიც, ზოგიერთი ფემინისტი მკვლევრის აზრით, ოცდამეერთე საუკუნის ექსტრაქტივიზმი და მოპოვებითი ინდუსტრია გენდერულ უთანასწორობებს აღრმავებს, რადგან შრომის მასკულინიზებული ორგანიზების მეშვეობით, ახალისებს გენდერული იერარქიების კვლავწარმოებას. ოცდამეერთე საუკუნის ექსტრაქტივიზმი და მოპოვებითი ინდუსტრია გენდერულ უთანასწორობებს აღრმავებს, რადგან შრომის მასკულინიზებული ორგანიზების მეშვეობით, ახალისებს გენდერული იერარქიების კვლავწარმოებას, მაგალითად, ტექნოლოგიზებულ მოპოვებით ინდუსტრიაში, ძირითადად, კაცების დასაქმებით (Leguizamon, 2020). ამგვარი გენდერული ასიმეტრია, ერთი მხრივ, აძლიერებს ქალების ეკონომიკურ დამოკიდებულებას კაცებზე (Cielo & Coba, 2018), მეორე მხრივ კი, ექსტრაქტივისტული სექტორის მექანიზება, ქალების ამ ინდუსტრიიდან განდევნას განაპირობებს (D'Angelo & Pijpers, 2022).

ექსტრაქტივისტული საქმიანობების ზონებში და მათ სიახლოვეს გენდერული ნიშნით ძალადობა ქალების და სხვა ფემინიზებული სხეულების მადისციპლინირებელ იარაღად იქცევა. მაგალითად, კვლევები აჩვენებს, რომ ინდუსტრიული აგრარული მეურნეობების არეალში, ახალი სივრცეების ათვისების პროცესში მატულობს ქალებზე სხვადასხვა ტიპის ძალადობა, რასაც ეწირება, ერთი მხრივ, ქალების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება, მეორე მხრივ კი – ის სივრცეები, რომლებიც მათი სოციალიზაციის, სოციალური კვლავწარმოებისა და პოლიტიკური მონაწილეობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია (Ojeda, 2022). ექსტრაქტივიზმის ძალადობრიობა ასევე გამოიხატება მიწის, წყლისა და ეკოსისტემების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებაში, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს ქალების და მათი ზრუნვის მიმღებ სხეულებს წყალთან, ნიადაგსა და საკვებთან. ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ ექსტრაქტივისტული დაბინძურების წინააღმდეგ ქალების ორგანიზება ხშირია და გაფანტულია სხვადასხვა კონტინენტზე (Rodriguez Fernandez, 2020; Caretta et al., 2020; Cock, 2019). ტექნოლოგიზებული და მასშტაბური ექსტრაქტივისტული საქმიანობები ამ ზონებში მცხოვრები, სხვადასხვა ნიშნით მარგინალიზებული სოციალური ჯგუფების გარიყვასა და იზოლირებასაც უწყობს ხელს. ამ ჯგუფებს მიკუთვნებული ქალები კი ექსტრაქტივიზმისგან გამომდინარე საფასურს ორმაგად იხდიან, რაც გამოიხატება, მაგალითად, აუნაზღაურებელი ან გაუფასურებული ზრუნვისა და საოჯახო შრომის ტვირთში, ასევე, დაავადებების მიმართ გაზრდილ მოწყვლადობაში (Cielo & Coba, 2018). ამგვარად, ექსტრაქტივიზმი გენდერული უთანასწორობების გამაღრმავებელ და სოციალური იერარქიების გამამყარებელ ეკონომიკურ მოდელად გვევლინება (Bell & Braun, 2010), რომელიც საზოგადოების ერთ ჯგუფს ბუნებრივი რესურსების ათვისების გზით დოვლათის დაგროვების საშუალებას აძლევს, ამ პროცესისთვის საჭირო მავნე სოციალურ და ეკოლოგიურ ზეგავლენას კი ღარიბი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სხეულებზე, სოციალურ ურთიერთობებსა თუ საცხოვრებელ გარემოზე მიმართავს.

14. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

ფემინისტური პოლიტიკური ეკოლოგიის თეორიული პერსპექტივის გათვალისწინებით, კვლევის საველე სამუშაოები ჩავატარე 2023 წლის იანვარში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საქართველოს აზერბაიჯანული თემით დასახლებულ ექვს სოფელში. კვლევის ფარგლებში, ინდივიდუალური და ჯგუფური ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები თარჯიმის დახმარებით წარვმართე ამ სოფლებში მცხოვრებ 26 ქალთან, რომელთა ასაკი 26-დან 71 წლამდე მერყეობდა. ინტერვიუები, რომლებიც 30-45 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, ჩავატარე სოფლებში: ზემო არქევანი, ქვემო არქევანი, ქვემო ბოლნისი, მამული, სავანეთი და ჭაპალა. ეს სოფლები რამდენიმე კრიტერიუმის საფუძველზე შევარჩიე. პირველ რიგში, არჩევანი ისეთ სოფლებზე გავაკეთე, რომლებიც არსებული

კვლევებით დადასტურებული, სამთო-მომპოვებელი კომპანიის საწარმოო ნარჩენებით დაბინძურებული მდინარეების, მაშავერის, ბოლნისისწყლის (ფოლადაურის) და, ასევე, ხრამის (ახობაძე და სხვ., 2020) სიახლოვეს მდებარეობდნენ (ილუსტრაცია 1), რაც ასევე გულისხმობდა მაღალ ალბათობას, რომ სოფლებში დაბინძურებული წყლის გამოყენება უზდებოდათ. მეორე კრიტერიუმი დემოგრაფიული შემადგენლობით განვსაზღვრე და არა-დომინანტური ეთნიკური თემის დასახლებები, კერძოდ, საქართველოს აზერბაიჯანული თემით დასახლებული სოფლები შევარჩიე. მესამე კრიტერიუმად ამავე თემში სოფლის მეურნეობის დარგის, როგორც ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის დომინაცია დავსახე, რასაც შერჩეული დასახლებები ჰირდაპირ პასუხობდნენ.



ილუსტრაცია 1: საკვლევი არეალი

უნდა აღინიშნოს საველე სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოებებიც, რომლებიც ენობრივი ბარიერის მქონე თემში, ნდობის მოპოვებას და პატრიარქალურ წესრიგში ქალ რესპონდენტებთან კონტაქტის დამყარებას ეხებოდა, რაც ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი შუამავლების დახმარებით გახდა შესაძლებელი. თუ გავითვალისწინებთ საველე სამუშაოების პერიოდსა და უამინდობას, რა მიზეზითაც სოფლის მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს გარეთ ვერ შეხვდებოდით, შუამავლების როლი დახურულ სივრცეებში შეღწევასა და კვლევის მონაწილეთა რეკრუტირებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. ველზე კონტროლის მინიმუმამდე დასაყვანად, სოფლებში შუამავლების მეშვეობით რესპონდენტთა რეკრუტირება სპონტანურად ხდებოდა, რამაც შესაძლებლობა მომცა არა მარტო შემემცირებინა არასაჭირო გავლენა მიზნობრივ ჯგუფზე, არამედ კვლევაში მომეცვა მსგავს საქმიანობაში ჩართული, მაგრამ მეტ-ნაკლებად განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ასაკობრივი ჯგუფის ქალები. დემოგრაფიული მახასიათებლების კუთხით, ნიშანდობლივია, რომ 26-დან 23 რესპონდენტი ფორმალურად დასაქმებული არ იყო

და მათი ძირითადი საქმიანობა ოჯახის მოვლით, შინამეურნეობებსა თუ აგრარულ სამუშაოებში ჩართულობით შემოიფარგლებოდა.

ხაზი უნდა გაესვას კვლევის ველში შესვლასა და რესპონდენტებთან ნდობის მოპოვებაში თარჯიმანი ქალის როლსაც, ვისი დახმარებითაც, ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში კვლევის მონაწილეების რეკრუტირება გაადვილდა. საკვლევი ჯგუფის გენდერული შემადგენლობის და თემში არსებული პატრიარქალური წესრიგის გათვალისწინებით, ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ჩემი, როგორც ქალი მკვლევრის პოზიციონირებამაც, რამაც დიდწილად განსაზღვრა როგორც ადგილობრივ ქალებთან კონტაქტში შესვლის, ისე მათი მხრიდან ღიად საუბრის შესაძლებლობა.

კვლევისთვის მნიშვნელოვანია ეთიკური პრინციპები, შესაბამისად, ინტერვიუები თოთოეული რესპონდენტისთვის კვლევის მიზნის, საკვლევი საკითხის გაცნობისა და მათი ინფორმირებული თანხმობის მოპოვების შემდეგ ჩავწერე. მონაწილეთა უსაფრთხოების დასაცავად და მათი იდენტიფიცირების რისკის დასაზღვევად, ანონიმურობისა და კონფიდენციალობის პრინციპის გამოყენებით, ციტირებისას რესპონდენტთა სახელები ნახსენები არ არის, ხოლო სოფლები პირობითი ნომრებითაა აღნიშნული.

ინტერვიუების აუდიოფაილების გაშიფრის შემდეგ, რაც ჩანაწერების აზერბაიჯანული ენიდან ქართულად ზედმიწევნით თარგმნასაც მოიცავდა, მოგროვებული პირველადი მონაცემების სისტემატიზება და ანალიზი დავიწყე კოდირების მეთოდის გამოყენებით (Bazeley, 2013). მონაცემებში იდენტიფიცირებული კატეგორიების საველე ჩანაწერებთან, კვლევის თეორიულ ჩარჩოსა და საკვლევ საკითხთან შეკავშირებით შესაძლებელი გახდა თემის და კონცეფციების ფორმულირება და სინთეზი.

საველე სამუშაოებისას ინტერვიუს მეთოდის საშუალებით შეგროვებული პირველადი მონაცემების გარდა, კვლევაში ასევე გამოვიყენე მეორეული წყაროები: თემატური ნაშრომები, კვლევები და ანგარიშები, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, ასევე ბოლნისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და სხვა ღია წყაროებზე არსებული ინფორმაცია.

კვლევას აქვს რამდენიმე სახის შეზღუდვა. პირველი გეოგრაფიული არეალია, რომელიც შეზღუდული ბიუჯეტისა და დროის გათვალისწინებით, ბოლნისის 45 სოფლიდან², მხოლოდ ექვსს მოიცავს და არ ასახავს საქართველოს აზერბაიჯანული თემით დასახლებული ყველა სოფლის რეალობას ამ მუნიციპალიტეტში. გარდა ამისა, კვლევა კონცენტრირდება ბოლნისის მხოლოდ ერთ ეთნიკურად არადომინანტურ ჯგუფზე და არ აანალიზებს სხვა ეთნიკური უმცირესობების გამოცდილებებს. შესაბამისად, მისი შედეგები ბოლნისში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფზე განზოგადებადი არაა. კიდევ ერთი შეზღუდვა ეხება მონაცემების ხელმისაწვდომობის პრობლემას, კერძოდ, კვლევისთვის რელევანტური დარგობრივი მონაცემების სიმწირეს, არასრულობას ან, ხშირ შემთხვევაში, სრულ არარსებობას, რაც საკითხისა და მის გარშემო არსებული კონტექსტის სრულფასოვან შეფასებას ართულებს. ამას ემატება საჯარო უწყებებიდან და თვითმმართველობიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შეზღუდულად ან, რიგ შემთხვევაში, სრულიად არმილება, რა მიზეზითაც წინამდებარე კვლევაში გამოყენებული მეორეული მონაცემები ძირითადად მოპოვებულია ღია წყაროებიდან. კვლევაში ასევე არაა წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებთა პერსპექტივა, რაც პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ნაშრომი შეისწავლის ბოლნისში მცხოვრებ საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალთა გამოცდილებებს. თუმცა, გამონაკლისის სახით და კონკრეტული საკითხის უკეთ გასააზრებლად, მასში შეტანილია ერთ-ერთი სახელმწიფო კომპანიის წარმომადგენელთან სატელეფონო გასაუბრების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

2. საქართველო. ძირითადი მაჩვენებლების შედარება საქართველოს მუნიციპალიტეტების მიხედვით. <http://regions.geostat.ge/muncom.php>

**2. ბოლისის სოფლის მუნიციპალიტეტის და საქართველოს
აზრის განვითარების თაობა**

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა მთავარი ეკონომიკური საქმიანობა და ადგილობრივი მოსახლეობის თვითდასაქმების ძირითადი წყაროა. უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემებით, რომელიც 2018 წლით თარიღდება, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა 63% სწორედ სოფლის მეურნეობითაა დაკავებული (დარსაველიძე და სხვ., 2018). ამასთან, მთლიანად ქვემო ქართლის რეგიონი, მათ შორის ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ისტორიულად აგროსამრეწველო სპეციალიზაციის ადმინისტრაციული ერთეულია (იქვე) და საკვებით ამარავებს ქვეყნის ცენტრალურ სასურსათო ბაზრებს. ადგილობრივი აგრარული სექტორის პროდუქტიულობიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში დაგროვილი ისტორიული გამოცდილებისა და შენარჩუნებული ინსტიტუციური მექსიერების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გზაზე სტრატეგიულ სექტორად მოიაზრება. თუმცა, ბოლო წლებში, ბოლნისში მიმდინარე ნიადაგის დევრადაციის ტენდენცია, რომლის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად, სავარგულების მრეწველობით დაბინძურებული წყლით მორწყვა სახელდება³, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის.

მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის (2023-ში 56 900 მოსახლე) ⁴ 63% (სოფია-ლური სამართლიანობის ცენტრი, 2019) საქართველოს აზერბაიჯანული თემისგან შედგება, რომელიც, ამავდროულად, ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს წარმოადგენს (2014-ში 6.3%) (საქსტატი, 2016) და კონკრეტულად, ქვემო ქართლის რეგიონში საუკუნეებია, ტრადიციულად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას ეწევა (მეჭურჭლიშვილი, 2020). მიუხედავად თანაცხოვრებისა და ქვეყნის ცხოვრებაში თანამონაწილეობის ხანგრძლივი ისტორიისა, დღესდღეობით, საქართველოს აზერბაიჯანული თემი სრულყოფილი სამოქალაქო თუ პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობებს მოკლებულია და იმ მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებშიც კი, სადაც ეთნიკურ უმრავლესობას წარმოადგენს, არაპროპორციულადაა წარმოდგენილი (კანდელაკი, 2020).

თემის სოციო-კულტურული და პოლიტიკური იზოლაცია საქართველოს გასაბჭოების პერიოდს უკავშირდება, როცა საქართველოში მცხოვრებ, სხვადასხვა თურქმენული ტომის შთამომავლებს 1939 წლის საყოველთაო აღწევის შემდეგ, ერთი ეთნოსის სახელი, „აზერბაიჯანელი“ ეწოდა და საბჭოთა პოლიტიკის მიხედვით, განათლების მიღება მათთვის მხოლოდ რუსულ და მათ მშობლიურ ენად გამოხადებულ, აზერბაიჯანულ ენაზე გახდა შესაძლებელი (ზვიადაძე და სხვ., 2021). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თემი ენობრივი ბარიერის პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომლის გადალახვაც 2009 წელს გატარებული განათლების რეფორმის შემდეგ დაიწყო (იქვე). თუმცა, გარკვეული წინსვლის მიუხედავად, სახელმწიფო ენის ფლობა თემისთვის დღესაც დიდ გამოწვევად რჩება და აფერხებს საქართველოს აზერბაიჯანელთა როგორც სამოქალაქო, ისე პოლიტიკურ ჩართულობას, კონკრეტულად ბოლნისში კი ართულებს თვითმმართველობებსა და სახელმწიფო უწყებებთან მათ საბაზისო კომუნიკაციას (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019). ამას ემატება ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის საქართველოს აზერბაიჯანული თემის, ინტეგრაციის და პოლიტიკური ჩართულობის კუთხით არსებული სუსტი და არაეფექტურის

3. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი. (n/a). ბოლნისის შესახებ: ზოგადი ცნობები. <https://bolnisi.gov.ge/bolnisis-shesaxeb/zogadi-cnobebi>

4. საქათაფი. (n/a). ძირითადი მაჩვნეობლების შედარება საქართველოს მუნიციპალიტეტების მიხედვით. <http://regions.geostat.ge/regions/muncom.ph>

სახელმწიფო თუ ადგილობრივი პოლიტიკა (კანდელაკი, 2020), რაც მხოლოდ აღრმავებს თემის იზოლირებას დანარჩენი საზოგადოებისგან.

2.1 საქართველოს აზერბაიჯანის თემის ქალები

პოლიტიკური და სამოქალაქო გარიყულობის თუ სიღარიბის პირობებში, საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალები სტრუქტურული უთანასწორობების არაერთი წენების ქვეშ ცხოვრობენ. ისინი ერთდროულად აწყდებიან როგორც ეთნიკურობასთან, გენდერულ და კულტურულ სტერეოტიპებთან დაკავშირებულ ბარიერებს, ისე რესურსებზე, ჯანდაცვის, ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და განათლების სერვისებზე წვდომის პრობლემებს (მოდებაძე, 2021). ჯანდაცვის უსაფრთხოების კუთხით არსებული უმნიშვნელოვანესი დამაბრკოლებელი ფაქტორი თემის ქალებისთვის გასაგებ საკომუნიკაციო ენაზე ინფორმაციისა და სერვისების ნაკლებობაა. ასევე მწვავედ დგას სამედიცინო პერსონალის კომპეტენციის და გადაუდებელი ან საჭირო მომსახურების დროული მიღების პრობლემა სოფლებში (იქვე). ამას წინამდებარე კვლევის ქალი რესპონდენტებიც უსვამდნენ ხაზს და აღნიშნავდნენ, რომ სათანადო სამედიცინო მომსახურების მისაღებად წასვლა მუნიციპალურ ცენტრებსა და დედაქალაქში უწევთ, ან ქვეყნის გარეთ, თურქეთსა და აზერბაიჯანში, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახებში ფინანსური რესურსის მობილიზება ხერხდება.

გენდერულ ჭრილში უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან იკვეთება საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალთა პოლიტიკური რეპრეზენტაციისა და მონაწილეობის ნაკლებობაც. მიუხედავად მათი მზარდი სამოქალაქო აქტიურობისა, თემის ქალთა პოლიტიკურ ჩართულობასა და აგენტობას არაერთი ფაქტორი აფერხებს. ამ მხრივ, ერთ-ერთ მთავარ წინაღობად თავად თემის ქალები პატრიარქალურ კულტურულ ნორმებს მიიჩნევენ, რომლებიც მათ საჯარო სფეროში მონაწილეობას, პირველ რიგში, ადგილობრივი პოლიტიკის დონეზე ზღუდავენ. გარდა ამისა, არც სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ ქალთა ჯგუფის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი პოლიტიკური რეპრეზენტაციის წახალისებას ეროვნულ დონეზე (იქვე).

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში ქალების დასაქმების წილი (2019-ში 60%) კაცებთან შედარებით (2019-ში 56%) უფრო მაღალია (გოლემაკ პაული და სხვ., 2020), მაგრამ არ მოიპოვება ჩაშლილი მონაცემები იმის შესახებ, თუ საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალი მოსახლეობის რა წილია დასაქმებული მთლიანად, რეგიონში და კონკრეტულად, ბოლნისის აგრარულ სექტორში. ამის მიუხედავად, ზემოხსენებული ზოგადი სტატისტიკა და წინამდებარე კვლევის რესპონდენტთა გამოცდილებები მიანიშნებს თემის ქალთა შრომის კრიტიკულ მნიშვნელობაზე ადგილობრივ სოფლის მეურნეობაში. საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ქალები, სხვებთან შედარებით, ასევე მოკლებული არიან სოფლის მეურნეობაში მხარდაჭერის პროგრამებში მონაწილეობის და ცოდნის განახლების შესაძლებლობებსაც, რაც დიდწილად, ენობრივი ბარიერითა განპირობებული (მამედლი, 2022). ამ გარემოებების საერთოობის გათვალისწინებით, მართებული იქნება, დავასკვნათ, რომ ბოლნისში მცხოვრები საქართველოს აზერბაიჯანული თემის სოფლად მცხოვრები ქალები უმეტესწილად ამავე დაბრკოლებებს აწყდებიან.

ადრეული ქორწინება თემის კიდევ ერთი დაუძლეველი გამოწვევაა. 2018 წლის მონაცემებით, მოქალაქეთა უმრავლესობა, რომლებიც დაქორწინდნენ 18 წლამდე ასაკში, მიეკუთვნებოდა საქართველოს აზერბაიჯანულ თემს და სოფლად სახლობდა (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2021). თუმცა, აუცილებელია, ხაზი გაესვას ადრეული ქორწინების პრობლემის საერთოობას საქართველოში, რომელიც გენდერული უთანასწორობის ფართო ტენდენციებითა და სიღარიბითა გამოწვეული და მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება როგორც ქვეყნის ეთნიკურად არადომინანტურ, ისე დომინანტურ ჯგუფებში (შენგელია და

სხვ., 2017). ისე როგორც ზოგადად, ადრეული ქორწინება საქართველოს აზერბაიჯანულ თემშიც დამატებით სტრუქტურულ წინაღობას ქმნის ქალებისთვის და მათ უზღუდავს როგორც განათლებაზე წვდომას, ისე შრომის ფორმალურ ბაზარზე დამკვიდრებას. ამდენად, ადრეული ქორწინება მათ მეტად მოწყვლადს ხდის დისკრიმინაცის, გარიყვისა და არასათანადო მოპყრობისადმი (მოდებაძე, 2021). ეს და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევა, ბოლნისში მცხოვრები საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალებისთვის, დაუცველობის დამატებით შრეებს ქმნის და მათ საცხოვრებელ გარემოში მიმდინარე ექსტრაქტივისტული საქმიანობების უარყოფით ზეგავლენებს ამძიმებს.

3. ექსტრაქტივული საქმიანობის პოლისი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საერთო ეკონომიკა არ არის კლასიკური გაგებით ექსტრაქტივისტული (დიაკონიძე, 2020), რადგან ბუნებრივი რესურსების მოპოვება მისი ეკონომიკის მაღალ წილს არ იკავებს (ჩივაძე, 2020) და არც წარმოებისა თუ ლირებულების დაგროვების მთავარი წყარო (Gellert, 2010), უშუალოდ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა დიდწილადა დამოკიდებული ისეთი ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე, როგორებიცაა ძვირფასი და ფერადი ლითონები, ქვიშა-ხრეში და სამშენებლო თუ მოსაპირკეთებელი დანიშნულებით გამოსაყენებელი ქვები (დარსაველიძე და სხვ., 2018). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშებისა და თავად მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილი კვლევის მიხედვით, ბოლნისის ტერიტორიაზე მოპოვებული ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი ფერადი ლითონებია, კერძოდ, სპილენძის მაღნები და კონცენტრატები, რომლებსაც საქართველოს საექსპორტო კალათაში ბოლო წლებში წამყვანი ადგილი სტაბილურად უჭირავს. მაგალითად, 2022 წელს, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მაღნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 842 მლნ აშშ დოლარით, რამაც ქვეყნის სრული ექსპორტის 19% შეადგინა (საქსტატი, 2022). ეს ნედლეული გავიდა ჩინეთის, ბულგარეთის, ესპანეთისა და კორეის საექსპორტო ბაზრებზე, მათგან ყველაზე დიდი წილი კი – ჩინეთსა და ევროკავშირში (ბიზნესმედია, 2023). თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საქსტატის სტატისტიკა მოიცავს სპილენძის რეექსპორტსაც, შესაბამისად, ამ ნედლეულის საქართველოდან ექსპორტის წილი, როგორც წესი, უფრო დაბალ ნიშნულზეა (ჩივაძე, 2020).

საქართველოში ოქროს და სპილენძს კომპანია „არემჯი“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში 2012 წლიდან მოიპოვებს. მას საბადოებიდან დამატებით ამოაქს არაერთი დასახელების სასარგებლო წიაღისეული, მათ შორის – ვერცხლი, ტყვია, თუთია, კადმიუმი, ბარიტი, ინდიუმი და გერმანიუმი (დარსაველიძე და სხვ., 2018). მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისში ოქროს მოპოვების ისტორია ათასწლეულებს ითვლის, ინდუსტრიული წესით წიაღისეულის მოპოვება და მაღნეულის საწარმოს ფუნქციონირება აქ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1975 წელს, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე იწყება. უკვე დამოუკიდებლობის ხანაში, 1994 წლიდან კი, კაზრეთის სპილენძისა და ოქროს საბადოები პრივატიზაციის რამდენიმე ტალღას გადის და 2012 წლიდან „არემჯის“ მფლობელობაში ექცევა⁵. კომპანიის საქმიანობას მდინარეების, ნიადაგისა და საწარმოო სამუშაოებისას წარმოქმნილი მტვრით ჰაერის დაბინძურების არაერთი ფაქტი უკავშირდება. კვლევებით დასტურდება მდინარეების – მაშავერის, ბოლნისისწყლისა (მდ. ფოლადაურის) და კაზრეთულას დაბინძურება რკინით და კადმიუმით, ასევე, მიმდებარე მიწების დაბინძურება ტყვიით, სპილენძით, მანგანუმით, თუთიითა და კადმიუმით (Felix-Henningsen, et al., 2010; ბაქრაძე და სხვ., 2021; წიქარიძე და სხვ., 2017). ბოლო პერიოდში, საწარმოს მიერ ღია კარიერული წესით მოპოვებითი საქმიანობების გაფართოების პერსპექტივებს თან სდევს ბოლნისის ზოგიერთ სოფელში მოსახლეობის წინააღმდეგობა. ამას აზერბაიჯანული თემით დასახლებულ სოფელებში მუშევანსა და გეტაში⁶ ადგილობრივ მცხოვრებთა საპროტესტო გამოსვლებიც მოწმობს.

ექსტრაქტივისტული საქმიანობების კონტექსტში გასათვალისწინებელია, რომ ფერადი ლითონების მოპოვება არ არის ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდინარეებზე უარყოფითი ზემოქმედების ერთადერთი წყარო. ინერტული მასალების, კერძოდ, სამშენებლო და-

5. „არემჯი“ ჯგუფი. (N/A). ჩვენ შესახებ: წარმოების ისტორია. <https://www.richmetalsgroup.com/production-history/>

6. Salam-სალამი. (2023, 6 მარტი). ხელმოწერების შეგროვება და საპროტესტო აქცია სოფელ გეტაში (#ქვემო_გულავერი). Facebook. <https://www.facebook.com/SalamPlatform/videos/759764659050946>

ნიშნულების ქვიშა-ხრეშის ამოღება აქ ასევე მძიმე ზეგავლენას ახდენს მდინარის კალა-პოტებზე, მათ ეკოსისტემებსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამ ტიპის საქმიანობები ბოლნისის ტერიტორიაზე მეტწილად მდინარე მაშავერის ხეობაშია კონცენტრირებული (დარსაველიძე და სხვ., 2018), მაგრამ გვხვდება სხვა მდინარეებზეც, მაგალითად, ხრამზე, რომელიც, ამავდროულად, ტრანსსასაზღვრო მდინარეა და, ამასთან, კვლევის ორ სამიზნე სოფელს, ქვემო და ზემო არქევანს ესაზღვრება.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, აკრძალულია ინერტული მასალების ზენო-რმული მოპოვება, თუკი ამით ირღვევა მდინარის კალაპოტებისა და მასზე მდებარე ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობების მდგრადობა⁷. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღესდღეობით ქვეყანაში ქვიშა-ხრეშის მოპოვებითი საქმიანობების მხოლოდ მცირე ნაწილი მოწმდება, ისიც მოპოვების ადგილის დაუთვალიერებლად, რაც არ იძლევა ბუნებრივ გარემოზე გა-ვლენების სათანადო შეფასების და, შესაბამისად, დარღვევების აღკვეთის საშუალებაა (ცინცაძაძე, 2022). თუ საკითხს უფრო ფართოდ შევხედავთ, მოპოვებითი ინდუსტრიის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა საქართველოში გაუმართავია. პირდაპირი საკონტროლო მექანიზმების არარსებობის გამო, დღემდე ვერ ხერხდება ვერც გარემოზე მიყენებული ზიანის აღმოფხვრის, ვერც სათანადო მონიტორინგისა და ვერც რეაგირების ეფექტიანი უზრუნველყოფა, ისევე როგორც არ ფინანსდება დაზიანებული გარემოს აღდგენა. სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებული ზომები კი, მცირე და არადიფერენცირებული ჯარიმების გამო, არაეფექტიანია (იქვე).

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი რესურსების მოპოვების აშკარა ინტენსივობის ფონზე, ადგილზე ყოფნისას შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს საჯარო ინფრა-სტრუქტურის სუსტი განვითარება. კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრაქტრუქტურისა და სერვისების ნაკლებობა გაუმართაობა, ან, ზოგ შემთხვევაში, მათი არარსებობა თვალშისაცემია კვლევის ფარგლებში მონახულებულ, საქართველოს აზერბაიჯანული თემით დასახლებულ სოფლებშიც, სადაც საჯარო ტრანსპორტზე, საბავშვო ბაღებზე, ჯანდაცვისა და სხვა საბაზისო სერვისებზე ადგილობრივ მოსახლეობას წვდომა არ აქვს. ეს გარემოები მიუთითებს ექსტრაქტივისტული საქმიანობებით მიღებული სარგებლის არათანაბარ გადანაწილებაზე მუნიციპალიტეტში და საჯარო სიკეთეების შესაქმნელად მხარდაჭერის სისუსტეზე ამ სოფლებში. ამას ემატება სისტემური სახის სოციალური, პოლიტიკური თუ უფლებრივი უთანასწორობები, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები (ფირანიშვილი და ბარბაქაძე, 2022) და კონკრეტულად, საქართველოს აზერბაიჯანელები ეჯახებიან (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019).

3.1 ნიაღისეულის მოარვება

3.1.1 ნიაღისეულის მოარვებით მდინარეების დაბინძურების ეკოლოგიური გავლენები ბოლნისის აზერბაიჯანული თემის სოფლებში

ბოლნისში მდინარეების დაბინძურების მასშტაბური წყარო დაბა კაზრეთში სამთო მოპოვების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ჩაღვრაა. დღესდღეობით, კვლევებით დადასტურებულია მდინარე მაშავერის, ბოლნისისწყლის (მდ. ფოლადაური) და კაზრეთულას მაღნის ელემენტებით ტექნოგენური დაბინძურება (Withanachchi, et al., 2018; Felix-Henningsen, et al., 2010; Hanauer, et al., 2011; კალანდაძე და სხვ., 2011; წიქარიძე და სხვ., 2017; ბაქრაძე და სხვ., 2021). ბოლო წლებში, მომპოვებლის მიერ მიღებული შემარბილებელი ზომების მიუხედავა (რადიო თავისუფლება, 2022), როგორც კვლევის ფარგლებში მონახულებული სოფლების მაგალითები აჩვენებს, ბოლნისის მდინარეები მავნე ნივთიე-

7. საქართველოს კანონი წიაღის შესახებ. (17/05/1996). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33040?publication=1>

რებების შემცველობას, სულ მცირე, გარკვეული პერიოდულობით მაინც ინარჩუნებენ. გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ მდინარეების წყალს სავარგულების სარწყავად იყენებს, მძიმე მეტალები მათი მეშვეობით ნიადაგის ფენებში აღწევენ და აზიანებენ ადგილობრივ მეურნეობებს, ეკოსისტემებს, პირუტყვისა და ადამიანების ჯანმრთელობას (Felix-Henningsen, et al., 2010; Withanachchi, et al., 2018). ამასთან, მაღნის ელემენტები ადვილად მიგრირებენ წყალში შერევით (Kim, et al., 2020; ბაქრაძე და სხვ., 2011), რაც ქმნის მძიმე მეტალების გავრცელების და მავნე ეკოლოგიური ზეგავლენების გადატანის რისკებს ბოლნისის ჰიდროქსელში, მათ შორის, არტეზიულ წყლებში, რომლებიც სოფლებს ამარაგებენ სასმელი და, რიგ შემთხვევაში, სარწყავი წყლით. მართალია, მონაცემების არარსებობა შეუძლებელს ხდის ნიადაგის დაბინძურების ზუსტი მასშტაბების დადგენას ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მხედველობაშია მისაღები არაბიოდეგრადირებადი მძიმე მეტალების ნიადაგის ფენებში ხანგრძლივი დროით დალექვის ზოგადი ტენდენცია (Kim, et al., 2020), რის გამოც ნიადაგის რემედიაცია რთულ და ძვირადღირებულ ტექნოლოგიურ ჩარევას საჭიროებს (Stanford.edu, 2019).

ბოლნისში სამთო მოპოვებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური გავლენების განხილვისას, გასათვალისწინებელია, რომ მომპოვებელმა კომპანიამ 2020 წელს სალიცენზიონ ტერიტორიაზე თანამედროვე წყლის გამწმენდი ნაგებობები და სადრენაჟო სისტემები დაამონტაჟა, რის შედეგადაც, გავრცელებული ინფორმაციით, მდინარე მაშავერის, ფოლადაურისა და კაზრეთულას დაბინძურება აღიკვეთა⁸. კვლევის ფარგლებში მონახულებულ სოფლებში, სადაც მაშავერა, ბოლნისისწყალი და ხრამი ჩამოედინება, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მდინარეების გასაწმენდად გატარებული ღონისძიებების შესახებ იციან. რესპონდენტები საუბრებში ამას აღნიშნავდნენ და ამბობდნენ იმასაც, რომ მდინარე მაშავერაში ზოგადად „კარგი წყალი“ მოედინება, თუმცა დროდადრო, არაბუნებრივად ლურჯ, შაბიამნისფერ ან ყვითელ შეფერილობას იძენს და ეს სახეცვლილება ძლიერი წვიმების პერიოდს ხშირად ემთხვევა. რესპონდენტები ამ შემთხვევებს კაზრეთში სამთო მომპოვებლის საწარმოო ტერიტორიიდან ტოქსიკური ნარჩენების გადმოღვრას უკავშირებდნენ და მიუთითებდნენ, რომ ასეთ დროს მდინარის წყალი „წამლავს ყველაფერს, ხეხილს, მცენარეებს“ (სოფელი III, ადგილობრივი ქალი, 54 წლის), „როცა ჭუჭყიანია, მოსავალი არ მოდის კარგად“ (სოფელი VI, ადგილობრივი ქალი, 68 წლის).

„ახლაც არის ხოლმე, ისევ უშვებენ [ქიმიას]. მავნეა, ხომ ხვდებით? მიწებს აფუჭებს. ადრე თევზიც გვქონდა მდინარეში, ახლა აღარ არის“ – სოფელი VI, ადგილობრივი ქალი, 57 წლის.

„არც ძროხა ეკარება ამ წყალს. როცა ეს მომწამვლელი წყალი წყდება და აღარ მოდის მდინარეში, მერე ნაპირებზე რჩება ყვითელი ნალექი. როგორც საწამლავი, ისე [...] კარტოფილს მორწყავ, ცუდი სუნი აქვს [...] ამ ბოსტნეულს ჭამენ, ავად ხდებიან...“ – სოფელი V, ადგილობრივი ქალი, 64 წლის.

რადგანაც ალტერნატიულ სარწყავ წყალზე წვდომა არ აქვთ, ჯანმრთელობის დაზიანების პრევენციისთვის ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები თვითშეზღუდვის ტაქტიკას მიმართავს და წყლის გამოყენებისგან თავს იკავებს იმ დროს, როცა რწყვის სეზონს მდინარის დაბინძურება ემთხვევა. თუმცა, როგორც წესი, ეს მიდგომა მოსავლიანობის კლებით სრულდება.

8. „არემჭა“ ჯგუფი. (2020, 12 თებერვალი). „არემჭა“ გარემოსდაცვითი პროგრამით მიმდინარე სამუშაოები. Facebook. https://www.facebook.com/richmetalsgroup/videos/2469714196579874/?locale=pl_PL

„იქიდან [კაზრეთიდან] წყალი როცა მოდის, თეთრია. იქიდანაა ეს ყველაფერი, რადიაცია და დაბინძურება, რაც თავს გვატკივებს. ამ დროს ნათესებსაც აღარ ვრწყავთ. არ შეიძლება. ანადგურებს, კლავს მოსავალს. სიმინდს, ყველაფერს. კარტოფილსაც აფუჭებს. ხანდახან უშვებენ საწამლავს იქიდან და მაშინ მოდის ეს თეთრი შეფერილობის წყალი და ჩვენ არ ვიყენებთ სარწყავად იმიტომ, რომ ვიცით, ეს გაანადგურებს მოსავალს“ – სოფელი V, ადგილობრივი ქალი, 61 წლის.

ტოქსიკურობის პერიოდში მდინარის წყალი თვალსაჩინო კვალს ადამიანის ჯანმრთელობაზეც ტოვებს და ბავშვები, ამ მხრივ, განსაკუთრებულ რისკჯგუფში ექცევიან. მაგალითად, ერთ-ერთ მონახულებულ სოფელში მცხოვრები ქალები აღნიშნავდნენ, რომ ზაფხულობით მაშავერის წყალთან კონტაქტი ბავშვებში ალერგიულ რეაქციებს იწვევს. ამგვარი შემთხვევები ზრდასრულებში არ ვლინდება, რადგანაც ისინი მდინარეს ერიდებიან, ბავშვებს კი ალერგია „მაღლ ურჩებათ“, ამიტომ სოფლის მცხოვრებლები ამჯობინებენ, ექიმს აღარ მიმართონ.

„ზაფხულში ხანდახან ბავშვები მიდიან მაშავერაში საბანაოდ. რომ ჩადიან, კანზე დაავადებები უჩნდებათ. ექავებათ იმიტომ, რომ წყალი მოწამლულია. [...] ოქროს მოიპოვებენ, რეცხავენ და მომწამვლელ წყალს მდინარეში უშვებენ“ – სოფელი VI, ადგილობრივი ქალი, 29 წლის.

მაღალი შეღწევადობითა და მიგრაციის უნარით გამორჩეული მძიმე მეტალები გროვდება როგორც ბიოფიზიკურ გარემოში, ისე ცხოველის, პირუტყვისა და ადამიანების სხეულებში, განურჩევლად გენდერისა თუ ასაკისა. თუმცა, ეს ზეგავლენები სოციალურ კონტექსტში სხვადასხვა ჯგუფზე არაერთგვაროვნად აისახება, რასაც არაერთი ფაქტორი განაპირობებს, დაწყებული ინდივიდუალური ჩვევებითა და პრაქტიკებით, როგორც ამას ზემოხსენებული სოფლის მაგალითი აჩვენებს, დასრულებული სტრუქტურული უთანასწორობებით თუ გეოგრაფიით. გენდერული პრიზმიდან გაანალიზებისას კი ამ არაერთგვაროვან გამოვლინებებს ახალი წახნაგები ემატება. აქვე აღვნიშნავ, რომ კავშირები ექსტრაქტივისტულ საქმიანობასა და ბოლნისის სოფლებში მცხოვრები აზერბაიჯანული თემის ქალების ყოველდღიურობას შორის ხშირად ირიბია და სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, თუმცა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ ცხოვრებასა და შესაძლებლობებს.

3.1.2. ნიალისეულის მოკოვებით მღერარეაბის დაბინძურების გავლენის გოლობის აზერბაიჯანული თემის ეალებზე

რა თავისებურებებით ხასიათდება მდინარეების მძიმე მეტალებით დაბინძურების ზეგავლენები კვლევის სამიზნე თემის იმ ქალებზე, რომლებიც ამ მდინარეების მახლობლად მდებარე სოფლებში ცხოვრობენ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორი საკითხი მინდა გამოვყო, რომლებიც ამ თავში ქალების სხეულებრივ გამოცდილებებზე კონცენტრირდება, თუმცა სცდება მათი ფიზიკური მდგომარეობის პრობლემას და მნიშვნელოვან სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს წამოსწევს წინ. პირველი საკითხი ეხება ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, ხოლო მეორე, გაუფასურებულ, მაგრამ თემის ქალთა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან შრომას აგრარულ სექტორში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა მიზნად არ ისახავს ექსტრაქტივისტულ საქმიანობებსა და ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენას, თუმცა, მოკვლევის ზონაში შესწავლილი გარემოებები და არსებული ლიტერატურა შესაძლებლობას იძლევა, აღინიშნოს ის რისკები, რომლებიც ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებულ გარემოში ქალთა ჯანმრთელობას და მის სოციალურ ასპექტებს ეხება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რესპონდენტები სოფლებში სხვადასხვა ავადმყოფობის გავრცელების ზრდის ზოგად ფონზე, ასევე საუბრობდნენ ქალებში სიმსივნური და-ავადებების მატებაზე, ხოლო ბავშვებში ხერხემლის პრობლემების, თავბრუსხვევისა და თავის ტკივილის განვირებულ შემთხვევებზე. ამ რისკების მხედველობაში მიღება აჩენს სამთომოპოვებითი საქმიანობების ზეგავლენის არეალში სიტუაციის შესწავლის, შესაბა-მისი კვლევების ჩატარებისა და პოტენციური გამოწვევების დასაძლევად, უფლებამოსილი აქტორების მიერ აუცილებელი ზომების მიღების საფუძველს.

ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხს რომ ჩავულრმავდეთ, გასათვა-ლისწინებელია სამედიცინო ცოდნა, რომელიც ორსულობის და ძუძუთი კვების პერიოდში, ნაყოფსა და ახალშობილებზე ტოქსიკური ნივთიერებების გადამტან მთავარ წყაროდ ქა-ლის ორგანიზმს აიდენტიფიცირებს. ეს ცოდნა ქალის ჯანმრთელობას ბავშვისას პირდაპირ უკავშირებს და ქალის სხეულს, კონკრეტულად კი დედის რძეს, საშვილოსნოსა და პლა-ცენტას ტოქსიკანტების გამტარებად მონიშნავს (Mackendrick, et al., 2019; Mackendrick, 2014). ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ბოლნისში წყლის, ნიადაგისა და საკვების მძიმე ლითო-ნებით დაბინძურების პირობებში, რეპროდუქციული ასაკის ქალებზე „ქიმიური ტვირთის“ (Mackendrick, 2014; Mackendrick, et al., 2019) დაკისრების მაღალი რისკი წარმოშობა, რაც ნიშნავს ბავშვთა ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობის გადატანას დედაზე, მაშინ როცა საცხოვრებელ გარემოში არსებული ეკოლოგიური დაბინძურება მის კონტროლს არ ექვემდებარება. საყურადღებოა, რომ ზრუნვის შრომის უთანასწორო სოციალური განაწი-ლების გათვალისწინებით, „ქიმიური ტვირთი“ ქალებისა და მათი სხეულების კონტროლის საშუალებად ადვილად შეიძლება იქცეს, რადგანაც ქალები რისკის წყაროდ და გადამტა-ნებად მოიაზრებიან, რასაც მივყავართ გენდერული იერარქიის გამყარების თუ ჩაგვრის სტრუქტურების გაძლიერების საფრთხეებთან. ამ დროს, მომპოვებლების მიერ ეკოლოგი-ური დაბინძურებით გამოწვეული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მოწყვლადობა არა დედათა პასუხისმგებლობა, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების კონკრეტული კონფიგურაციის შედეგია, რომელიც უკავშირდება ჩამორთმევით დაგროვე-ბის პროცესს. სწორედ ამიტომ, ქალებზე „ქიმიური ტვირთის“ გაჩენის რისკი მოითხოვს პა-სუხისმგებლობის ვექტორის მიმართვას მომპოვებლების, რეგულატორების, გარემოსა და ჯანდაცვის ზედამხედველი უწყებების მხარეს, რომელთაც საცხოვრებელი გარემოს მონი-ტორინგის და ადამიანთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებათ. არ უნდა დაგვავიწყდეს არც ის, რომ ეთნიკური უმცირესობების თემის ქალებს ისედაც უწევთ ცხოვრება სტრუქტურული უთანასწორობების და ჩაგვრის არაერთი ფორმის პირობებში, რაც მხოლოდ ამძიმებს მათზე „ქიმიური ტვირთის“ გენდერულ და სოციალურ ეფექტებს.

კვლევის სამიზნე სოფლებში მცხოვრები ქალების ჯანმრთელობის მოწყვლადობა წი-აღისულის მოპოვებიდან გამომდინარე დაბინძურების მიმართ, სხვა მიზეზითაცაა გან-პირობებული და ის სავარგულებზე ფემინიზებულ ფიზიკურ შრომასთან იკვეთება. ბოლ-ნისში, განსაკუთრებით კი კვლევის ფარგლებში მონახულებულ სოფლებში, სადაც სოფლის მეურნეობა დასაქმების უმთავრესი წყაროა, ხოლო მამაკაცების ძირითად ნაწილს საარ-სებო შემოსავლის საძენელად შრომით ემიგრაციაში უწევს წასვლა, ადგილზე დარჩენილი სამუშაო ძალა აგრარულ მეურნეობებში დიდწილად ქალებისგან შედგება. ამას ადასტურე-ბენ რესპონდენტებიც, ისინიც, ვისაც თავად უწევთ სხვის მიწებზე დღიურ ანაზღაურებაზე შრომა და ისინიც, ვინც საკუთარი ნაკვეთების დასამუშავებლად თუ მოსავლის მოსაყვა-ნად და ასაღებად თავად ქირაობენ სამუშაო ძალას. ამას ემატება სოფლის მეურნეობაში ადგილზე არსებული შრომის კულტურული ნორმებიც, რომლებიც გენდერულად ანაწი-ლებენ მოვალეობებს და, როგორც რესპონდენტები აღნიშნავდნენ, „ქალის საქმედ“ განსა-ზღვრავენ მიწაზე ხელით მუშაობას, მცენარეულის თესვას, მოვლას, კრეფას თუ მიწიდან ამოღებას. გენდერული თვალსაზრისით, ეს ფემინიზებული აგრარული სამუშაო მიწასთან

პირდაპირ, ინტენსიურ და ხანგრძლივ კონტაქტს მოითხოვს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალები ნიადაგში დაგროვილ მძიმე მეტალებთან კონტაქტში რეგულარულად შედიან და ისედაც რთული შრომის პირობებში, ჯანმრთელობის დაზიანების დამატებითი საფრთხის წინაშე დგებიან. ამგვარად, სამთო მოპოვების მავნე ზეგავლენების ქვეშ მყოფი აგრარული საქმიანობის პროდუქტიულობა მნიშვნელოვანწილად ქალებზე გადის, ისევე, როგორც ექსტრაქტივისტული საქმიანობების შედეგად წარმოქმნილი ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც წყლიდან და ნიადაგიდან ჯერ მათ სხეულებსა და მათი შრომით მოწეულ საკვებს გაივლიან, შემდეგ კი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, სურსათის ბაზრებზე ხვდებიან, საიდანაც ისევ ადამიანთა სხეულებში ინაცვლებენ. ამგვარად, მომპოვებლური საქმიანობების მავნე გავლენებს ბოლნისის აზერბაიჯანული თემით დასახლებულ სოფლებში, ადგილზე არსებული გარემოებების გათვალისწინებით, გამოკვეთილი გენდერული განზომილება აქვს და აგრარული შრომის გავლით, ის ქალებს წყალთან, ნიადაგთან, ბავშვთა ჯანმრთელობასა და ქვეყნის სასურსათო ბაზართან მტკიცედ აკავშირებს.

3.3. სარცყავი წყალი

3.3.1 სარცყავი წყლის არათანაბარი გადანაირების მოამვებითო ხასიათი ბოლონისის აზერბაიჯანულ თემში

წყალი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ელემენტია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით საქმიანობებში, ერთი მხრივ, როგორც წარმოებისთვის აუცილებელი ტექნიკური შემადგენელი, ხოლო მეორე მხრივ, ტოქსიკური ნარჩენების განსათავსებლად გამოყენებული ბიოფიზიკური გარემო, როგორც ეს ნარჩენების მდინარეებში, ზღვებსა და სხვა ტიპის ზედაპირულ წყლებში ჩაღვრის მავნე და ხშირად, კანონსაწინააღმდეგო შემთხვევაში ხდება. თუმცა, წყლის რესურსის აგრარული წარმოებისთვის მითვისება ნაკლებად განიხილება ექსტრაქტივისტულ საქმიანობად მაშინ, როცა ზოგიერთი მკვლევარი ამ პრაქტიკას ექსტრაქტივიზმის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი წყალი არაადგილობრივი ან საექსპორტოდ განკუთვნილი საკვების წარმოებისთვის მობილიზდება ადგილობრივი შინამეურნეობების თუ მოსახლეობის საჭიროებების უგულებელყოფის ხარჯზე (Torres et al., 2022; Stensrud, 2019). ამ დებულების გათვალისწინებით, ეს ქვეთავი ბოლნისის აგრარულ სექტორში სარწყავი წყლის მითვისების ექსტრაქტივისტული ლინზიდან გააზრებას ეთმობა, სადაც წყალი სოფლის მეურნეობაში კომერციული მოგებისთვის აუცილებელი რესურსია. მისი მიტაცება თუ არათანაბარი გადანაწილება კი ადგილობრივი საოჯახო მეურნეობების დასუსტებას, თემიდან შრომით მიგრაციას, ასევე, გენდერული და ეკონომიკური უთანასწორობების გაღრმავებას უწყობს ხელს. ქვეთავში ასევე გათვალისწინებულია ჰიდროლოგიური და ინფრასტრუქტურული უთანასწორობის პოლიტიკური და სოციალური ასპექტი. კერძოდ ის, რომ წყლის დინების საირიგაციო სისტემის ორგანიზება, იქნება ეს არხები, კაშხლები თუ მილები, ასახავს, თუ როგორაა განაწილებული სოციალური ძალაუფლება საზოგადოებაში, რომელშიც კონკრეტული აქტორები წყვეტინ, თუ ვისთვისაა ხელმისაწვდომი წყალი და ვისთვის არა (Swyngadouw, 2009).

ბოლნისის სახნავ-სათესი მიწების საერთო ფართობიდან (28,825 ჰა), რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის 35%-ს შეადგენს (დარსაველიძე და სხვ. 2018), საირიგაციო სისტემით დღეს 5,736 ჰექტარია უზრუნველყოფილი⁹. თუ საბჭოთა პერიოდში აქ 12 000 ჰა მიწა ირწყვებოდა (დარსაველიძე და სხვ. 2018), 1990-იან წლებში, სარწყავი ინფრასტრუქტურის განადგურების შედეგად¹⁰, ეს ფართობი თითქმის განახევრებულია. ბოლნისის ირი-

9. „საქართველოს მელიორაციისგან“ 2023 წლის 14 მარტს მიღებული ინფორმაცია.

10. „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენელთან სატელეფონო ინტერვიუ (18 აპრილი, 2023).

გაციის ამჟამინდელ სისტემას მდინარე მაშავერა კვებავს, რომელიც, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის სახნავ-სათესი მიწების ძირითადი სარწყავი არტერიაა. საირიგაციო წყალი სარწყავ სისტემასთან მიერთებულ თითოეულ სოფელს აქ გრაფიკით, სახელმწიფოს დაქვემდებარებული კომპანიის, შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ, კვირაში ორი ან სამი დღით, სეზონურად მიეწოდება. ამ მომსახურებისთვის მომხმარებლები უწყებას წლიურ სააბონენტო გადასახადს, 75 ლარს უხდიან¹¹. თუმცა, რწყვის სეზონზე ყველა აბონენტის წყლით უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც ზრდის მათ უნდობლობას კომპანიის მიმართ და ზოგიერთი მათგანი მასთან ხელშეკრულების დადებასაც ერიდება (მამედლი, 2022).

ვეგეტაციის პერიოდში, როცა ბოლნისის აგრარულ მეურნეობებში წყალზე მოთხოვნა მაღალია და, ამავდროულად, მდინარეში წყლის ხარჯი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნალექიანობის არასტაბილურობის გამო იკლებს, „საქართველოს მელიორაციას“ მაშავერის წყლით გამდიდრება დმანისში მდებარე პანტიანის, იაყუბლოს, მთისძირისა და ხორხორის წყალსაცავებიდან უხდება¹². მიუხედავად მდინარის ხელოვნური კვებისა, ბოლნისის სოფლებში სამეურნეო ნაკვეთებს სარწყავი წყლი მაინც არ ჰყოფნით. ამას მონახულებული სოფლების ის რესპონდენტებიც ადასტურებდნენ, რომლებიც საირიგაციო სისტემების მკვებავი მდინარეების წელს ქვემოთ ცხოვრობენ და წყლის დეფიციტს როგორც მასშტაბური მეურნეობების წყალმოთხოვნით, ისე სოფლების მდებარეობით ხსნიდნენ. მათი თქმით, რწყვის სეზონზე, წყალი დინების ზემოთ მდებარე სოფლების მიწებზე იხარჯება და მათ სამეურნეო ნაკვეთებამდე უმეტეს შემთხვევაში ვერ აღწევს.

„წყალი არ არის. არ გვაძლევენ. ვისაც ვასაყიდად აქვს დიდ ნათესებზე მოსავალი, უფრო იმას აძლევენ. ან წყალთან ახლოს მყოფი ნაკვეთები ირწყვება. ჩვენთვის კი წყალი არ რჩება, არ მოდის. აქ რაც მიწა გვქონდა, დაიწვა... ასეთ ვასაჭირში ვართ“, – **სოფელი III, ადგილობრივი ქალი, 47 წლის.**

მონახულებული სოფლების მაგალითზე, რესპონდენტები მეორე მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებდნენ გრაფიკით დადგენილი რიგის დაუცველად, სარწყავი წყლის მითვისებას, რაც ამძიმებს ბოლნისში მზარდად შეზღუდული წყლის რესურსის არათანაბარ გადანაწილებას. როგორც მოკვლევით დგინდება, ეს პრაქტიკა განსაკუთრებულად აზიანებს მცირე საოჯახო მეურნეობებს, ხოლო უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მძლავრ აგრარულ მეურნეობებს, რომლებსაც წყლის რესურსის შესყიდვის ფინანსური შესაძლებლობა აქვთ.

„ბოსტნის მოსარწყავი წყალიარ გვაქვს [...] აქ წყალს არ უშვებენ და ისეთი ადამიანიც არ არის, ვინც ამას ყურადღებას მიაქცევს. ფულით ყიდულობენ რიგებს... ბოლნისის მხრიდან, მდინარეებიდან მოდის სარწყავი წყალი და ამ სარწყავ წყალს ყიდიან“, – **სოფელი II, ადგილობრივი ქალი, 71 წლის.**

ამ მხრივ საყურადღებოა „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლის განმარტება, რომლის მიხედვითაც უწყების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება სარწყავი წყლის მაგისტრალური არხებისთვის მიწოდებით, მაგრამ ვერ აკონტროლებს სიტუაციას სოფლებში განთავსებული შიდა სარწყავი ქსელების დონეზე, სადაც წყლის გადანაწილების მართვა უბნის უფლებამოსილ მარეგულირებლებს ევალებათ¹³.

11. „საქართველოს მელიორაციისგან“ 2023 წლის 14 მარტს მიღებული ინფორმაცია.

12. „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლთან სატელეფონო ინტერვიუ (18 აპრილი, 2023).

13. „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლთან სატელეფონო ინტერვიუ (18 აპრილი, 2023).

სარწყავი სისტემიდან წყლით მომარაგების არასაიმედოობის პირობებში, მონახულებული სოფლების მცხოვრებთა სავარგულებისა და ბალ-ბოსტნების მოსავლიანობა დიდწილად ამინდზეა დამოკიდებული, რაც გახშირებული გვალვების ფონზე, მათ მოსავლის გარეშე ტოვებს. მეტიც, სარწყავი წყლის უქონლობა არაერთი რესპონდენტის მონათხრობის მიხედვით, სოფლებში მიწათმოქმედების მიტოვების მიზეზი ხდება. აქედან გამომდინარე, წარსულში საკვებით თვითკმარ ოჯახებს ახლა საკუთარი მოხმარებისთვისაც კი უწევთ იმ ბოსტნეულის ყიდვა, რომლის მოყვანით და გაყიდვითაც საკუთარი შინამეურნეობების ეკონომიკურ მდგრადობას უზრუნველყოფდნენ.

„ადრე მოსავალი იყო. ვყიდდით კარგ ფასად. ასე ირჩენდნენ თავს და ჩვენც კარგად გვინახავდნენ. ქორწილები გადაგვიხადეს, გვასწავლეს... მაგრამ ახლა ჩვენთვის მოსავალი არ არის, არ მოდის. წყლის პრობლემებია მეურნეობაში“ – **სოფელი IV, ადგილობრივი ქალი, 38 წლის.**

ამგვარად, თუ ერთ დროს სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, საკვების წარმოება ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დასაყრდენი იყო, დღეს ჩანს, რომ სარწყავი წყლის დეფიციტი და, შედეგად, საკვების წარმოების მკვეთრი ვარდნა ზღუდავს იმ საბაზისო საშუალებებს, რომლებიც თემის ფიზიკური თუ სოციო-კულტურული განგრძობადობის შენარჩუნებისთვისაა საჭირო.

3.3.2. სარწყავი ნულის არათანაბარი გადანაწილების გენდერული განზომილება ბოლოსის აზერბაიჯანულ თემში

სარწყავი წყლის არათანაბარი გადანაწილებით გამოწვეული გავლენების გენდერულ ანალიზს თუ მივუბრუნდებით, კვლევის სამიზნე თემში მცხოვრები ქალების ყოფის სტრუქტურირებასა და შრომის პრაქტიკების ფორმირებაში ეს დეფიციტი მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონახულებული სოფლების მცხოვრებთა წყალთან მიმართება და ყოველდღიურობაში ამ რესურსის მართვის ადგილობრივი პრაქტიკები გენდერულად განსხვავებულია. საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლით მომარაგება თემში დღემდე ქალების საქმედ განისაზღვრება, ხოლო, როგორც რესპონდენტები აღნიშნავ-დნენ, „მორწყვა მარტო კაცებისაა“ და „სარწყავი წყლის ამბავს კაცები აგვარებენ“. ამ მხრივ, ალბათ საგულისხმოა, რომ სარწყავი წყლის გარეშე დარჩენილი საჯახახო მეურნეობების კოლაფს აზერბაიჯანული თემიდან კაცების სეზონური შრომითი ემიგრაცია ემთხვევა. პარალელურად, დისპროპორციულად იზრდება ქალების არაფორმალური შრომის ტვირთი, დროითი სიღარიბე, თემში ჩაკეტილობა და საშინაო სფეროზე მეტად მიჯაჭვულობა. ეს უკანასკნელი, სხვა ფაქტორებთან ერთად, პატრიარქალური სოციალური სტრუქტურის თანხვედრითაც აიხსნება, რომელშიც ქალების მოვალეობები და შესაძლებლობები საშინაო სფეროთი შემოიფარგლება, ხოლო საჯარო სივრცეში მათი მობილობაც კი იზღუდება (Laws, 1997), მაშინ, როცა კაცების გადაადგილების თავისუფლება წახალისებულია და, ამავდროულად, მათი მობილობის პრივილეგიას დიდწილად საშინაო შრომის გენდერული გადანაწილება განაპირობებს. ამას მოწმობს კვლევის რესპონდენტთა მონათხრობი, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის გარეთ სამუშაოდ და თანაც სეზონურად, მათი სოფლებიდან ძირითადად კაცები გადიან, ხოლო ქალები მხოლოდ მეზობელ სოფლებში „დღიურ ფულზე“, სხვის ნაკვეთებზე „25-30 ლარად“ თუ იმუშავებენ. ერთ-ერთი ქალი რესპონდენტის თქმით, არის შემთხვევები, როცა შრომით მიგრაციაში მყოფი ქმარი თუკი კარგ გასამრჯელოს გამოიმუშავებს, ცოლს „შემოუთვლის, საერთოდ არ წახვიდე სამუშაოდ, სახლში დაჯექი და ბავშვებს მიხედეო“. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაგალითი სრულად არ წარმოაჩენს ბოლნისის აზერბაიჯანულ თემში მცხოვრები ქალების მრავალშრიან გამოცდილებებს, ის მაინც

აჩვენებს საშინაო შრომის გადანაწილების გენდერულ ასიმეტრიულობას და გენდერული ურთიერთობების იერარქიულობას ადგილობრივ კონტექსტში. ამგვარად, სხვა სისტემურ ფაქტორებთან კომბინაციაში, კაცების სეზონური შრომითი მიგრაცია, პატრიარქალური კულტურით განსაზღვრული უპირატესობა მობილობაში და, ასევე, პასუხისმგებლობების გენდერული გადანაწილება აყალიბებს გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი თემის ქალების ეკონომიკურ დამოკიდებულებას კაცებზე. ამასთან, საშინაო სფეროზე თემის ქალების მიჯაჭვულობა მათი ისედაც შეზღუდული სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობებს ამცირებს.

კვლევის სამიზნე თემის ქალების ბოსტნეულის მინდვრებზე არაფორმალურ და დაბალანაზღაურებად შრომას რომ მივუბრუნდეთ, ის ასევე აძლიერებს თემის ქალთა დაუცველობას, რადგანაც შრომის არაფორმალურობა გამორიცხავს მათთვის სოციალური, სათანადო ანაზღაურების, ჯანმრთელობის თუ შრომის უსაფრთხოების გარანტიებით უზრუნველყოფას. მეორე მხრივ, არაფორმალურ შრომაში მათი მაღალი ჩართულობა სარწყავი წყლის დეფიციტით გამოწვეული შინამეურნეობების კოლაფსთან იკვეთება. ადგილობრივი ეკონომიკის აგრარულობის პირობებში, საკუთარ ნაკვეთებზე სარწყავი წყლის არქონით საკვების წარმოების და შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროს მოსპობით, ბოლნისის აზერბაიჯანული თემის ქალებს, რომელთაც დასაქმების სხვა ალტერნატივა პროფესიის არქონის თუ ენობრივი ბარიერის გამო არ გააჩნიათ, დღიური სარჩის შოვნა მეზობელ სოფლებში, მიწაზე მუშაობით უწევთ. ამგვარ სამუშაოს თან ახლავს ჯანმრთელობის დამაზიანებელი, მძიმე სხეულებრივი გამოცდილებები.

„წავედი, ვიმუშავე მინდორში – წელი გამიკავდა. სიცივეა, ფეხები მეყინება, თირკმლები მაწუხებს. მუშაობა შეუძლებელია. კოცონს თუ დაანთებ ერთ ადგილზე, სიცივეში ხელებს გაითბობ და ასე [...] ზაფხულში მზე დაგვკრავს ხოლმე. ძნელია...“ – სოფელი V, 41 წლის ადგილობრივი ქალი.

ალსანიშნავია ისიც, რომ ქალთა მძიმე შრომა ბოსტნეულის მინდვრებზე არ სრულდება და მას შინ შრომაც ემატება. გარდა იმისა, რომ რესპონდენტი ქალების ყოველდღიურობა ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია, კვლევაში ჩანს რაოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ ქალების შრომას თემის სოციალურ კვლავწარმოებაში:

„სამუშაო სეზონზე 6 სათზე ვიღვიძებ, შევჭამ, საოჯახო საქმეებს ვაგვარებ: საქონლის მოვლა და ბავშვები... ასე 8 საათის მერე მინდორში სამუშაოდ მივდივარ. 6 საათის შემდეგ სამუშაოდან ვბრუნდებით. ამის მერე ისევ საოჯახო საქმეები რაც იქნება – საქონელი... მოდიხარ სახლში, მერეც მუშაობ. დასვენება არაა ჩემთვის. სულ მუშაობა. ბევრი საქმეა“, – სოფელი V, 46 წლის ადგილობრივი ქალი.

როგორც შინ და გარეთ შრომის ორმაგი ტვირთი და მისგან გამოწვეული დროითი სიღარიბე, ისე არაფორმალური შრომა, ბოლნისის აზერბაიჯანულ თემში მცხოვრებ ქალებს ჩაგვრის არსებულ სისტემებთან მარტო ტოვებს. ამ ჩაკეტილ წრეში, მათ არ ეძლევათ არც ძალების აღდგენის ან თვითგანვითარების, არც ფორმალურ ეკონომიკაში მონაწილეობისთვის საჭირო უნარებით აღჭურვისა და არც საკუთარ თემს გარეთ სოციალური კავშირების შენების შესაძლებლობა, რაც მხოლოდ აღრმავებს თემის ქალთა იზოლირებასა და გარიყულობას. მაშინ, როცა სარწყავი წყლის სიმწირე და მისი თანმდევი ეფექტები ამყარებს იმ მრავალშრიან ძალაუფლებრივ, სოციალურ თუ ეკონომიკურ უთანასწორობებს, რომელთა წინაშეც ბოლნისის აზერბაიჯანული თემი დგას, უშუალოდ თემის ქალებისთვის ეს ურთიერთმიმართებები კაცებისგან განსხვავებულ გამოცდილებებს ქმნიან.

3.4. ქვიშა-ხრეშის მოაოვების ეკოლოგიური, სოციალური და განლერული გავლენების ქვემო და ზემო არქევანის კონტექსტში

3.4.1. ქვიშა-ხრეშის მოაოვების ეკოლოგიური, სოციალური და განლერული გავლენების ქვემო და ზემო არქევანის კონტექსტში

მდინარის ხეობიდან ქვიშა-ხრეშის უკონტროლოდ ამოღებას თან ახლავს ადგილობრივი თემების დამაზიანებელი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური გავლენები (Bisht, 2021). მათ შორის, მდინარის ქვედა წელში წყალმოვარდნები, იხტიოფაუნის, მეთევზეობისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია, გვალვები, ეკოსისტემაში უხეში ჩარევის თანმდევი უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ სოფლის მეურნეობაზე და ქვიშა-ხრეშის ექსპორტით მიღებული ეკონომიკური სარგებლის არათანაბარი გადანაწილება მომპოვებლის სასარგებლოდ (იქვე). ინერტული მასალების მდინარის კალაპოტიდან ამოღების მძიმე ეკოლოგიური და სოციალური შედეგები ჩანს საველე სამუშაოებისას მონახულებული ბოლნისის ორი სოფლის, ქვემო და ზემო არქევანის მაგალითზეც, რომლებიც მდინარე ხრამს ესაზღვრებიან და ამავე მდინარიდან ქვიშა-ხრეშის კომერციული მოპოვების პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ ექცევიან.

ჭალის იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად კარიერი და ინერტული მასალების მოპოვების არეალი მდებარეობს, მდინარის ეკოსისტემაში წონასწორობის რღვევაზე იქ წარმოქმნილი დაჭაობებული ტბორები (ფოტო 1) და ორმოებით სახეცვლილი ლანდშაფტი მიანიშნებს (ფოტო 2).



ფოტო 1. სალომე კობალავა, იანვარი 2023, მდინარე ხრამის ჭალა. სოფელი ქვემო არქევანი, ბოლნისი.



ფოტო 2. სალომე კობალავა, იანვარი 2023, მდინარე ხრამის ჭალა. სოფელი ქვემო არქევანი, ბოლნისი.

ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, მათ ამ ტერიტორიაზე „ფართო ადგილები ქონდათ“ სახნავ-სათესად, თუმცა, ქვიშა-ხრეშის მოპოვების შედეგად, მდინარის კალაპოტი შეიცვალა, წყალიც დაშრა და დარჩენილი ნაკვეთები სოფლის მცხოვრებლებს ურწყავი დაურჩათ. ამ პროცესებს საბანაო ადგილების კარგვა და სასმელი წყლის ბუნებრივი რეზერვების გაქრობაც მოჰყვა, რომელთა მეშვეობითაც, სოფლები უწყლობას წყალმომარაგების სისტემის არარსებობის პერიოდში უმკლავდებოდნენ.

„დასალევი წყალი, რასაც [ჭალიდან] ვეზიდებოდით, მიწიდან ამოდიოდა. ჭიქით ვიღებდით [...] სულ სუფთა წყალი იყო [...] ჭალებიდან ქალები ვეზიდებოდით ამ წყალს ურიკებით. სარეცხიც მიგვქონდა... – სოფელი. I, ადგილობრივი ქალი, 40 წლის.

ქვიშა-ხრეშის მოპოვებით გამოწვეულმა მდინარის კალაპოტის ცვლილებამ და მიწების კარგვამ, სოფლის საძოვრებად გამოყენებული არეალიც შეამცირა, რამაც გავლენა იქნია ადგილობრივ შინამეურნეობებსა და მესაქონლეობაზე.

„ძროხების საძოვარის ადგილებზე კარიერი დააყენეს. არ არის ადგილი, მშიერია ძროხები, ცხვრები, ყველაფერი. ადრე ხალხს ორი-სამი ძროხა ყავდა, ახლა არავის არ ყავს იმდენი. რატომ? იმიტომ, რომ საძოვარი არ არის. სოფელია და მე და ჩემს მეუღლეს გვინდა ძროხა, მაგრამ საძოვარი არ არის“ – სოფელი I, ადგილობრივი ქალი, 40 წლის.

კვლევის რესპონდენტები ქვიშა-ხრეშის მოპოვებას მდინარის დაბინძურებასაც უკავშირებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ როცა „ქვიშას იღებენ, ტალახიანი წყალი გამოდის“: ზემოქმედების კუთხით, ყურადსალებია რისკები, რომლებიც, ერთი მხრივ, ინერტული მასალის ამოღებისა და დამუშავებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების ნარეცხის ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებში შერევას უკავშირდება, მეორე მხრივ კი, მდინარის წყალგამტარი ქანების დაწევას, რაც ზრდის მიწისქვეშა წყლების ხარჯის შემცირების საფრთხეს (გუჯარაიძე, 2021). ეს რისკები განსაკუთრებით საყულისხმოა ქვემო და ზემო არქევანის კონტექსტში, სადაც მოსახლეობა სასმელი და საყოფაცხოვრებო წყლით მიწისქვეშა წყლებიდან იმ ჭაბულილისა და მიწოდების ქსელის საშუალებით მარაგდება, რომლებიც რამდენიმე წლის წინ, სოფელმა საკუთარი ძალისხმევით გაიყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხრამიდან ქვიშა-ხრეშის უკონტროლო ამოღებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას როგორც სოფლის გამოსაყენებელი წყლის ხარისხს და მოცულობას, ისე მოსახლეობის ჯანმრთელობას.

გენდერული პერსპექტივიდან თუ გავიაზრებთ, წყლის რესურსზე წვდომასთან დაკავშირებული ეს ცვლილებები ზემოხსენებულ სოფლებში, თემის ქალების ცხოვრებაზე კონკრეტულ და თანაც, უარყოფით გავლენას იქონიებს. საქართველოს აზერბაიჯანული თემის პატრიარქალური სოციალური სტრუქტურის გათვალისწინებით, სადაც საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის წყლით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ფემინიზებულია, წყლის დეფიციტი ზრუნვის და საშინაო შრომის ტვირთს ისევ ქალებისთვის დამძიმებს. განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ხელი არ მიუწვდება კერძო ავტოტრანსპორტზე და ფეხით ან სულაც, დაქირავებული ტრანსპორტით მოუწევს როგორც სასმელად ვარგისი წყლის ალტერნატიულ ჭასთან მისასვლელი გზის დაფარვა, ისე წყლის ზიდვა. ამგვარად, საყოფაცხოვრებო წყალზე წვდომის შეზღუდვა, გაზრდის არა მხოლოდ მისით უზრუნველყოფის ხარჯსა და ქალთა სხეულებრივ შრომას, არამედ დაამძიმებს მათთვის ისედაც მწვავე დროითი სიღარიბის პრობლემას, რადგანაც ქალებს ბევრად მეტი დროის დახარჯვა მოუწევთ წყლის მომარაგებასა და, ზოგადად, საშინაო საქმიანობებში, რომელთა გაძლოლაც გენდერულადა განსაზღვრული და ქალების პასუხისმგებლობაში ექცევა. აქვე უნდა აღინიშნოს მენტალური ტვირთის (mental load) პრობლემაც, რაც საშინაო სივრცეში გულისხმობს მთელ რიგ არალიარებულ თუ აუნაზღაურებელ მენტალურ, ემოციურ და ფიზიკურ შრომას, რომელთაც საშინაო საქმეების თუ შინამეურნეობების მართვა საჭიროებს (Dean et al., 2021). შესაბამისად, ქვემო და ზემო არქევანში მცხოვრები ქალებისთვის წყლის გართულებული ხელმისაწვდომობა დაამძიმებს მათ მენტალურ ტვირთსაც, რაც დროით სიღარიბესთან კომბინაციაში ქალთა საშინაო სფეროზე მიჯაჭვულობას გაზრდის და გაურთულებს სიღარიბის ციკლიდან თავის დაღწევის შესაძლებლობას. ამგვარი დინამიკა ხელს შეუწყობს თემის დონეზე სიღარიბის ფემინიზაციას (Abdourahman, 2010) და კიდევ უფრო შეამცირებს ქალებისთვის ისედაც მცირე საჯარო თუ პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობებს. ქვიშა-ხრეშის მოპოვების სოციალური და გენდერული რისკების გაანალიზებისას, ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს არც კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესი, რომელიც მტკნარი წყლის მარაგების კლების და ზემოხსენებული სოფლების სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფრთხეებს მნიშვნელოვნად აძლიერებს, რაც განსაკუთრებულ წნევს ისევ და ისევ თემის ქალებზე მიმართავს. ამგვარად, ზემოხსენებულ სოფლებში მცხოვრებ ქალთა სოციალური, ეკონომიკური და ემოციური გაძლიერებისთვის აუცილებელია წყლის რესურსზე წვდომის იმგვარი უზრუნველყოფა, რაც მათგან ნაკლები დროისა და ძალისხმევის დახარჯვას მოითხოვს. ამის მიღწევა კი სოფლების ქვემო და ზემო არქევანის შემთხვევაში, ქვიშა-ხრეშის მოპოვებითი საქმიანობიდან მომდინარე წყლის ხელმიუწვდომლობის რისკების შერბილებითა და აღმოფხვრითაა შესაძლებელი.

რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადა-სხვა სახის მოპოვებითი საქმიანობები მათი ზეგავლენების არეალში მცხოვრებ საქართვე-ლოს აზერბაიჯანულ თემში სტრუქტურულ და გენდერულ უთანასწორობებს აძლიერებს. თემის ქალები კი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის, ჩამორთმევისა და ჩაგვრის სისტემების თანაკვეთაზე დისპროპორციულად მაღალ ფასს იხდიან, არაფორმალურ შრო-მაში მზარდი ჩართულობის, დროითი და ეკონომიკური სიღარიბის, საჯარო თუ პოლიტი-კური აგენტობის შეზღუდვის, საშინაო სფეროზე მიჯაჭვულობის, ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე მომეტებული რისკებისა და ორმაგი შრომის ტვირთის სახით. ბოლნისში მოპოვებითი საქმიანობებიდან გამომდინარე უარყოფითი ეკოლოგიური, სოციალური და გენდერული გავლენების შესარბილებლად, ასევე, მუნიციპალიტეტში მცხოვრები აზერბაი-ჯანული თემის ქალების წინაშე არსებული და კვლევაში განხილული გამოწვევების დასაძ-ლევად, აუცილებელია მრავალსექტორული და ინტერსექციური მიდგომების გამოყენება სახელმწიფოს, თვითმმართველობისა და მოპოვებით საქმიანობებთან დაკავშირებული აქტორების მხრიდან. ეს მიდგომები მოითხოვენ როგორც როგორც მოკლე, ისე გრძელ ვა-დაზე გათვლილ გადაწყვეტილებებს და სოციალურ თუ ეკოლოგიურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებულ, ტექნოლოგიურ, ინფრასტრუქტურულ და ადმინისტრაციულ ზომებს. უფრო კონკრეტულად:

- ბოლნისში, ფერადი ლითონების მომპოვებელი კომპანია „არემჯის“ საქმიანობის ზემოქმედების არეალში მცხოვრები საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალე-ბის და მთლიანად, თემის წევრების ჯანმრთელობის, ასევე შინამეურნეობების გან-გრძობადობისა და ადგილობრივი აგრარული წარმოების უსაფრთხოებისთვის, გა-დაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მდინარეების ჰიდროლოგიური სისტემის დაბინძურებისგან დამცავი ზომების გატარება. ეს გულისხმობს საწარმოო ნარჩენე-ბისგან მდინარე მაშავერის პერიოდული დაბინძურების ჯერ კიდევ არსებული წყა-როს აღმოფხვრას. ასევე, მოპოვებითი საქმიანობის შედეგად დაბინძურებული და დაზიანებული ნიადაგის რემედიაციას. კვლევის რესპონდენტთა გამოცდილებები მოწმობენ, რომ მიუხედავად კომპანიის მიერ გატარებული გამწმენდი ღონისძიე-ბებისა, საწარმოს ტოქსიკური ნარჩენების მდინარეში პერიოდული შერევა დღემდე გადაულახავი პრობლემაა. შესაბამისად, პრობლემის აღმოფხვრა საჭიროებს სახე-ლმწიფოს მარეგულირებელი, გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი და აღმას-რულებელი, ადგილობრივი თუ ცენტრალური შტორების მხრიდან ეფექტიან ჩართუ-ლობასა და რეაგირებას. მომპოვებლის საქმიანობის შედეგად დაბინძურების მძიმე ეკოლოგიური და სოციალური ეფექტების გათვალისწინებით, სახელმწიფო და თვი-თმმართველი შტორების მხრიდან საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალთა ჯანმრთელობის, მათ შორის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით არსებულ რისკსა და მათ სათანადო ასახვას რეაგირების მექანიზმებში.
- ქალთა და მთლიანად, თემის წევრების ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის თუ მათი გარემოსდაცვითი უფლებების რეალიზების კუთხით, ასევე იკვეთება მო-პოვების ზეგავლენის არეალში სათანადო მონაცემების შეგროვებისა და კვლევების ჩატარების საჭიროება. ადგილზე არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველს ქმნის რესპონდენტთა მიერ გამოთქმული წუხილი თემში სიმსივნური და სხვა დაა-ვადებების მზარდ ტენდენციაზე.

- თემის ქალთა, ასევე აგრარულ სექტორზე დამოკიდებული თემის ეკონომიკური და სოციალური მედეგობის მისაღწევად, აუცილებელია სოფლებში სარწყავი წყლის უთანასწორო გადანაწილების პრობლემის აღმოფხვრა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თვითმმართველობის თუ სახელმწიფო უწყებების მხრიდან სარწყავი წყლის მითვისების არაფორმალური პრაქტიკების გამოვლენა, მათზე ეფექტიანი რეაგირება და პრევენციის მექანიზმის დანერგვა.
- თემის ქალების შრომის ტვირთის შესამცირებლად და დროითი სილარიბის დასაძლევად, საჭიროა მიწისქვეშა წყლის მართვის იმგვარი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ამ რესურსს დაიცავს მდინარიდან ინერტული მასალის ზენორმული მოპოვების მავნე გავლენებისგან. ერთი შეხედვით ერთმანეთთან კავშირში არმყოფი მიწისქვეშა წყლები და ქალთა შინ შრომა, ბოლნისის კონტექსტში ურთიერთდამოკიდებულია, რადგან სასმელი წყლით ადგილობრივი სოფლები, ხშირ შემთხვევაში, მიწისქვეშა წყლებიდან მარაგდებიან, ხოლო საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის წყლით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა თემში ფემინიზებულია. შესაბამისად, წყლის ხელმისაწვდომობა ქალების შრომასა და უფრო ფართოდ, მათ სოციალურ თუ პოლიტიკურ შესაძლებლობებზე პირდაპირ აისახება. პროცედურულ დონეზე, მდინარიდან ინერტული მასალების მოპოვების მავნე ზეგავლენების მართვა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის პირდაპირი მექანიზმების დანერგვას. კერძოდ, სათანადო მონიტორინგისა და რეაგირების უზრუნველყოფას, ასევე, დარღვევებზე დაწესებული ჯარიმების დიფერენცირებას როგორც ეკოლოგიური, ისე სოციალური ზიანის ხასიათისა და მასშტაბის მიხედვით.

ზოგადი რეკომენდაციების ეს ჩამონათვალი შესაძლოა სრულად არ მოიცავს კვლევაში განხილული გამოწვევების გადასალახად საჭირო საკითხებს, თუმცა მათი განხორციელება ხელს შეუწყობს ბოლნისში, ექსტრაქტივისტული საქმიანობების ზემოქმედების არეალში მცხოვრები საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქალების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებას, ისევე როგორც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობასა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას.

ბიბლიოგრაფია

1. აროშვილი, ა. (2020). როგორ აქცევს ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმი ზრუნვას ამოწურვად რესურსსად. ექსტრაქტივისტული გადაკვეთები: პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური სამართლიანობა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი.
2. ახობაძე, ს., რუხაძე, ა., ბარნოვი, ე., ჯიბლაძე, ქ., ბუმბულიძე, მ. (2020). ხრამი-დებედას მდინარეთა აუზის მართვის გეგმის შემუშავება საქართველოში. REC-Caucasus. <https://rec-caucasus.org/wp-content/uploads/2020/08/1594145503.pdf>
3. ბაქრაძე, ე., შავლიაშვილი, ლ., კუჭავა, გ. (2021). მადნეულის საწარმოს მიერ მდ. კაზრეთულას დაბინძურების თანამედროვე მდგომარეობა. http://chemistry.ge/publication/jgcs/vol/2021_1_11_bakradze.pdf
4. ბიზნეს მედია საქართველო (BM.ge). (2023, 24 იანვარი). სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტით \$1 მლრდ მივიღეთ – სად ვყიდულობთ და ვყიდით? <https://bm.ge/ka/article/spilendzis-madnebis-da-koncentratebis-eqsportit-1-mlrd-mivig-et---sad-vyidulobt-da-vyidit--/125337>
5. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2021). ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი: საქართველო. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-04/Country%20Gender%20Equality%20Profile%20GEO.pdf>
6. გოლემაკ პაუელი, ა., ჭითანავა, მ., წიქვაძე, ნ., გაფრინდაშვილი ნ., კეშელავა, დ., ლობჟანიძე, მ. (2020). სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერული ზეგავლენის შეფასება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-11/Danerge%20Momavali%20Geo.pdf>
7. გუჯარაძე, ქ. (2021). სახელმძღვანელო ქვიშა-ხრეშის მოპოვების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქეებისთვის. მწვანე ალტერნატივა.
8. დარსაველიძე, დ., ძიძიკაშვილი, ნ., კიკაბიძე, კ., დემურაშვილი, გ., ბეჟანიშვილი, კ. (2018). ბოლნისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების შესაძლებლობების და პერიფერიული მომხმარებლების ინტერესების თაობაზე <https://bit.ly/3JJjXrQ>
9. დიაკონიძე, ა. (2020). დასაქმების პრობლემები მონოინდუსტრიულ ქალაქებში. ექსტრაქტივისტული გადაკვეთები: პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური სამართლიანობა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი.
10. ზვიადაძე, ს., სორდია, გ. (2021). რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში. ევროპის საბჭო. <https://rm.coe.int/-/1680a2e321>
11. კალანდაძე, ბ., ტრაპაიძე, ვ., და ბრეგვაძე, გ. (2011). მდინარე მაშავერას სარწყავი წყლების გავლენა ბოლნისის რაიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. <http://openlibrary.ge/handle/123456789/9994>
12. კანდელაცი, ს. (2020). ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში: პოლიტიკური ჩართულობის ბარიერები. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. <https://bit.ly/42oDjJC>
13. მამედლი, ქ. (2022). შიშველი შრომა: არადომინანტური ეთნიკური ჯგუფები სოფლის მეურნეობაში. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. <https://socialjustice.org.ge/ka/products/shishveli-shromava-aradominanturi-etnikuri-jgufebi-soflis-meurneobashi>
14. მოდებაძე, ე. (2021). ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება: ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ქალთა შემთხვევის შესწავლა საქართველოში. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18830.pdf>
15. რადიო თავისუფლება. (2022, 13 სექტემბერი). „არემჯის“ კარიერის გამო სოფელი მუშევანი ორად გაიყო. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32031475.html>

16. რადიო თავისუფლება. (2022, 13 მაისი). „არემჯის“ პასუხები რადიო თავისუფლებას. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31848226.html?nocache=1>
17. საქართაშვილი. (2016). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. https://migrationcommission.ge/files/census_release_geo_2016.pdf
18. საქართაშვილი. (2022). საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში. <https://bit.ly/3x-Zd1Am>
19. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2019). ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების და გამოწვევების შეფასების ზოგადი დოკუმენტი. <https://socialjustice.org.ge/ka/products/bolnisis-munitsipalitetshi-arsebuli-problemebis-da-gamotsvevebis-shefasebis-zogadi-dokumenti>
20. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2020). ექსტრაქტივისტული გადაკვეთები: პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური სამართლიანობა. (2020). თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.
21. ურჩუხიშვილი, გ. (2021). ქალები და ექსტრაქტიული ეკონომიკა ტყიბულში. ექსტრაქტივისტული გადაკვეთები: პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური სამართლიანობა. თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.
22. ფირანიშვილი, თ., ბარბაქაძე, ზ. (2022). ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. <https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-sotsialuri-da-ekonomikuri-ekskluzia>
23. ქებურია, თ. და ჭუბაბრია, თ. (2017). წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროცესტები. თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.
24. შენგელია, ლ., სტურუა, ლ., გუპტა, ტ. პ., ტეილორი, ა., ლაურო, ჯ. (2017). ადრეული ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახირების კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში. გაეროს მოსახლეობის ფონდი. <https://bit.ly/3NOTn3a>
25. ჩივაძე, თ. (2020). საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკა და ექსტრაქტივისტული მიდგომები. სოციალური სამართლიანობის ცენტრი..
26. ცინცაძე, გ. (2020). ექსტრაქტივისტული რეჟიმები და ჩამორთმევა დაგროვებით ჭიათურაში. ექსტრაქტივისტული გადაკვეთები: პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური სამართლიანობა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი.
27. ცინცაბაძე, ა. (2022). სამთო-მოპოვებით საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხარვეზები. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. <https://bit.ly/3yQmZo6>
28. წიქარიძე, ნ., ავეკოფაშვილი გ., ყაზაიშვილი, ხ., ავეკოფაშვილი, მ., ღონდაძე, ა., და სამხარაძე, ზ. (2017). ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან. მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი პლატფორმა
29. Abdourahman, O. I. (2010). Time poverty: A contributor to women's poverty. *Journal statistique africain*, 11, 16-36.
30. Acosta, A. (2013). Extractivism and neoextractivism: two sides of the same curse. *Beyond development: alternative visions from Latin America*, 1, 61-86.
31. Acosta, A. (2017). Post-extractivism: from discourse to practice—reflections for action. In *Alternative pathways to sustainable development: Lessons from Latin America* (pp. 77-101). Brill Nijhoff.
32. Bazeley, P. (2013). *Qualitative data analysis: Practical strategies*. Sage.
33. Bell, S. E., & Braun, Y. A. (2010). Coal, identity, and the gendering of environmental justice activism in central Appalachia. *Gender & Society*, 24(6), 794-813.
34. Bisht, A. (2021). Conceptualizing sand extractivism: Deconstructing an emerging re-

- source frontier. *The Extractive Industries and Society*, 8(2), 100904.
35. Caretta, M. A., Zaragocin, S., Turley, B., & Orellana, K. T. (2020). Women's organizing against extractivism: towards a decolonial multi-sited analysis. *Human Geography*, 13(1), 49-59.
 36. Cielo, C., & Coba, L. (2018). Extractivism, gender, and disease: an intersectional approach to inequalities. *Ethics & International Affairs*, 32(2), 169-178.
 37. Cock, J. (2019). Resistance to coal inequalities and the possibilities of a just transition in South Africa. *Development Southern Africa*, 36(6), 860-873.
 38. D'Angelo, L., & Pijpers, R. J. (2022). The anthropology of resource extraction: An Introduction. In *The Anthropology of Resource Extraction* (pp. 1-19). Routledge.
 39. Dean, L., Churchill, B., & Ruppanner, L. (2022). The mental load: Building a deeper theoretical understanding of how cognitive and emotional labor overload women and mothers. *Community, Work & Family*, 25(1), 13-29.
 40. Dietz, K., & Engels, B. (2017). Contested extractivism, society and the state: an introduction. *Contested extractivism, society and the state: Struggles over mining and land*, 1-19.
 41. Dombroski, K., Healy, S., & McKinnon, K. (2018). Care-full community economies. In *Feminist political ecology and the economics of care* (pp. 99-115). Routledge.
 42. Ekowati, D., Maimunah, S., Owen, A., Wangari Muneri, E., & Elmhirst, R. (2023). Untold climate stories: Feminist political ecology perspectives on extractivism, climate colonialism and community alternatives. In *Contours of Feminist Political Ecology* (pp. 19-50). Cham: Springer International Publishing.
 43. Felix-Henningsen, P., Urushadze, T., Steffens, D., Kalandadze, B., & Narimanidze, E. (2010). Uptake of heavy metals by food crops from highly-polluted Chernozem-like soils in an irrigation district south of Tbilisi, eastern Georgia. *Agronomy Research*, 8(1), 781-795.
 44. Gellert, P. K. (2010). Extractive regimes: toward a better understanding of Indonesian development. *Rural sociology*, 75(1), 28-57.
 45. Gudynas, E. (2013). Transitions to post-extractivism: directions, options, areas of action. *Beyond Development: Alternative Visions from Latin America*, 165-188.
 46. Hanauer, T., Felix-Henningsen, P., Steffens, D., Kalandadze, B., Navrozashvili, L., & Urushadze, T. (2011). In situ stabilization of metals (Cu, Cd, and Zn) in contaminated soils in the region of Bolnisi, Georgia. *Plant and soil*, 341, 193-208.
 47. Kim, H., Lee, M., Lee, J. H., Kim, K. H., Owens, G., & Kim, K. R. (2020). Distribution and extent of heavy metal (loid) contamination in agricultural soils as affected by industrial activity. *Applied Biological Chemistry*, 63(1), 1-8.
 48. Laws, G. (1997). Women's life courses, spatial mobility, and state policies. *Thresholds in feminist geography: Difference, methodology, representation*, 47-64.
 49. Leguizamón, A. (2020). The gendered dimensions of soybean extractivism in Argentina. *Latin American extractivism: Dependency, resource nationalism, and resistance in broad perspective*, 189.
 50. MacKendrick, N. (2014). More work for mother: Chemical body burdens as a maternal responsibility. *Gender & society*, 28(5), 705-728. MacKendrick, Norah, and Kate Cairns. (2019). The polluted child and maternal responsibility in the US environmental health movement. *Signs: Journal of Women in Culture and Society*, 307-332.
 51. Mechurkhishvili, G. (2020). Turkoman tribes in late Medieval Eastern Georgia: Settlements, demography and political history. *KADMOS*, (12), 102-150.
 52. Ojeda, D. (2021). Social reproduction, dispossession, and the gendered workings of agrarian extractivism in Colombia. In *Agrarian extractivism in Latin America* (pp. 85-98).

Routledge.

53. Pereira, C. (2021). Extractivism, resistance, alternatives. *Feminist Africa*, 2(1), 1-13.
54. Peters, S. (2017). Beyond curse and blessing: Rentier society in Venezuela. *Contested Extractivism, Society and the State: Struggles over Mining and Land*, 45-68.
55. Richardson-Ngwenya, P., & Nightingale, A. J. (2018). Diverse ethics for diverse economies: Considering the ethics of embodiment, difference and inter-corporality at Kufunda. In *Feminist Political Ecology and the Economics of Care* (pp. 131-161). Routledge.
56. Rodriguez Fernandez, G. V. (2020). Neo-extractivism, the Bolivian state, and indigenous peasant women's struggles for water in the Altiplano. *Human Geography*, 13(1), 27-39.
57. Rocheleau, D., Thomas-Slayter, B., & Wangari, E. (2013). *Feminist political ecology: Global issues and local experience*. Routledge.
58. SDG.gov.ge. VNR. (2020). Report on the Implementation of the 2030 Agenda on Sustainable Development. <https://sdg.gov.ge/text-page/46>
59. Stanford.edu. (2019). A New Approach to Cleaning Heavy Metals out of Soil. <https://engineering.stanford.edu/magazine/article/new-approach-cleaning-heavy-metals-out-soil>
60. Stensrud, A. B. (2019). Water as resource and being: Water extractivism and life projects in Peru. *Indigenous life projects and extractivism: Ethnographies from South America*, 143-164.
61. Sundberg, J. (2016). Feminist political ecology. International Encyclopedia of Geography: People, the Earth, Environment and Technology: People, the Earth, Environment and Technology, 1-12.
62. Swyngedouw, E. (2009). The political economy and political ecology of the hydro-social cycle. *Journal of contemporary water research & education*, 142(1), 56-60.
63. Szeman, I., & Wenzel, J. (2021). What do we talk about when we talk about extractivism?. *Textual Practice*, 35(3), 505-523.
64. Temper, L., Del Bene, D., & Martinez-Alier, J. (2015). Mapping the frontiers and front lines of global environmental justice: the EJAtlas. *Journal of Political Ecology*, 22(1), 255-278.
65. Torres, R., Azócar, G., Gallardo, R., & Mendoza, J. (2022). Water Extractivism and Decolonial Struggles in Mapuche Territory, Chile. *Water Alternatives*, 15(1), 150-174.
66. Van den Berg, K. (2018). Environmental feminisms: A story of different encounters. In *Feminist Political Ecology and the Economics of Care* (pp. 55-69). Routledge.
67. Wember, C. (2018). Striving towards what we do not know yet: Living Feminist Political Ecology in Toronto's food network 1. In *Feminist Political Ecology and the Economics of Care* (pp. 162-188). Routledge.
68. Withanachchi, S. S., Kunchulia, I., Ghambashidze, G., Al Sidawi, R., Urushadze, T., & Ploeger, A. (2018). *Farmers' perception of water quality and risks in the Mashavera River Basin, Georgia: Analyzing the vulnerability of the social-ecological system through community perceptions*. Sustainability, 10(9), 3062.
69. Wolff, J. (2017). Contesting extractivism: conceptual, theoretical and normative reflections. *Contested extractivism, society and the state: struggles over mining and land*, 243-255.

